

ზამთრის თბილ ამინდს კარგად იყენებენ ზუგდიდისა და გუდაუთის რაიონების მექანიზატორები. საგაზაფხულო თესვისათვის ამზადებენ ნიადაგს. ზუგდიდის რაიონის ძველი ხიბულის კოლმეურნეობის მექანიზატორი ვ. ჯიშკარიანი ხვნის დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.

**სურათზე:** მექანიზატორი ვ. ჯიშკარიანი (ზევით); ხვნა გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორკონიკიის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა) და ს. კოროტკოვისა.


# ავიღოთ ახალი ზღუდეებიდ!

**პარტიული კომიტეტებისა და საწარმოო სამმართველოთა მუშაკებო, მთელი ძალებიდ!**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის**

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

გამოცემის 43-ე წელი

№ 33 (12545)

პარასკევი, 8 თებერვალი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.


## უპატაკეგენ სამშოგლოს

**თეთრი** წყაროს საწარმოო სამმართველოს მეცხოველეები წარმატებით იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მათ ვადაზე ადრე გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 3.231 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.230 ცენტნერისა.

საბრძნოლად გაეზარდა რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ტემპი. ახლა ყოველდღიურად გარდება სახელმწიფოს 4,5 ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

# ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

**ᲧᲣᲑᲐᲜᲔᲚᲗᲐ** პატრიოტულმა თაობამ ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენი არტელის მშრომელებში. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ე. გეთია) ერთ-ერთი ეკონომიურად მძლავრი და მოწინავეა რესპუბლიკაში. გასულ წელს არტელის ფულადმა შემოსავალმა 900 ათას მანეთს გადააჭარბა.

კოლმეურნეობის გამგეობამ აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და კრასნოდარელთა მოწოდების პასუხად გადაწყვიტა:

მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 875 ტონა ჩაის ფოთოლი. ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აიყვანონ 5 ტონამდე. კოლმეურნეობის პირველმა საწარმოო ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კალისტრატე ბელისკერია ხელმძღვანელობს, იკისრა 25 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მიიღოს 210 ტონა ჩაის ფოთოლი.

ახალი ამოცანები აკისრეს მესამინდეებმა: წელს ათვისებული იქნება 200 ჰექტარი ახალი ფართობი. აგროტექნიკური ღონისძიებათა მტკიცედ დაცვით მესამინდეები 300 ჰექტარი ფართობიც საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 50 ცენტნერ მოსავალს.

ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჩოკოლი ქეჩახია ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა 15 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 110 ცენტნერი სიმინდი მიიღოს. თვითონ ჩ. ქეჩახიამ ერთ ჰექტარზე 180 ცენტნერი სიმინდიც მიღება იკისრა.

**Გ. ᲡᲔᲠᲒᲘᲐ,**
**გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.**



## ᲥᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

**ᲟᲔᲜᲔᲕᲐ,** 7 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გამოყენების საკითხებს, გაიშალა დისკუსია დღის წესრიგის მესამე პუნქტის — სამრეწველო განვითარების საკითხის გამო.

აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოთა წარმომადგენლები დიდად დაინტერესდნენ მძიმე მრეწველობის განვითარების, საკუთარი ენერგეტიკული ბაზის შექმნის საკითხებით.

დასავლეთის დელეგაციების (მაგალითად, ბელგიის) მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მსუბუქი მრეწველობის განვითარებას, ახალგაზრდა სახელმწიფოებში. ეს ორატორები სახელს უტეხდნენ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში მძიმე მრეწველობის გეგმიანი განვითარების იდეას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გუდმანმა განვითარა თეორია, რომლის შესაბამისად სუსტად განვითარებულმა ქვეყნებმა კარი უნდა გაუღონ უცხოელთა კერძო კაპიტალს, უმთავრესად უნდა დაეყრდნონ „კერძო მეწარმოების თავისუფლებას“.

ინდონეზიის დელეგატმა ანონდომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მრეწველობის ნაციონალიზაცია.

მნიშვნელოვანი ყურადღება დისკუსიაზე დაეთმო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. ნ. პლოტნიკოვის მოხსენებას. ორატორმა დიდი ფაქტიური მასალით ცხადყო, თუ როგორ გარდაქმნის სოციალიზმი წარსულში მსოფლიოს ჩამორჩენილ რაიონებს, როგორ აძლევს მათ საშუალებას უმოკლეს ვადაში, კაპიტალისტური ფორმაციის გვერდის ავლით, გადავიდნენ ნახევრად ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობიდან ყველაზე მოწინავე, სოციალისტურ წყობაში. მაგალითად, მან მოიყვანა შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკები.

## მეგობრული შეთანხმება

**მოსკოვი,** 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, რასაც აწარმოებდნენ საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მთავრობათა სავაჭრო დელეგაციები, მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და კუბას შორის საქონელბრუნვის შესახებ 1963 წლისათვის და შეთანხმებას, რომ საბჭოთა კავშირი კუბის რესაუბლიკას მისცემს კრედიტს.

## ᲛᲐᲙᲜᲐᲛᲐᲠᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ,** 7 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ უარყო ამერიკის კონგრესის ზოგიერთი წევრის მიერ გავრცელებული პროვოკაციული ხმები, თითქოს კვლავ იზრდებოდეს „საბჭოთა სამხედრო ძალა“ კუბაში და იქ იყოს საშუალო რადიუსის მოქმედების საბჭოთა რაკეტები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებით, „შეტევითი იარაღია“.

როგორც მაკნამარამ განაცხადა ვაშინგტონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, საფუძველს მოკლებულია ეჭვი შეიტანონ, რომ კუბიდან მთლიანად წაღებულია „შეტევითი იარაღი“ და რომ არ წარმოებს მისი კვლავ შეზიდვა.

მაკნამარამ პრეს-კონფერენცია გამართა მას შემდეგ, რაც გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა მაკპოუნმა ანალოგიური შინაარსის განცხადება გააკეთა სენატის სამხედრო რა მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიაში.

## ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ,** 7 თებერვალი. (საკდესი). თუმცა დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ კატანგის „პრეზიდენტი“ ჩრდილოეთ როდეზიაში გაეშგზავნა, იგი მთლიანად გამოცხადდა პერეირა — დასოზაში, რომელიც ანგოლის ბენგუელის რკინიგზის ბოლო სადგურია კატანგის საზღვარზე.

ანგოლაში ჩომბეს ჩასვლის მიზეზები გაურკვეველია.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სოლსბერიიდან იუწყება, ჩომბე მალე გაემგზავრება როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციაში ან დასავლეთ ევროპაში.

## ᲓᲐᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 7 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კანადის პრემიერ-მინისტრმა დიფენბეიკერმა გამოაცხადა, რომ დათხოვნილია კანადის პარლამენტი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ პარლამენტის ახალი არჩევნები დანიშნულია ამა წლის 8 აპრილს.

## ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

**ᲢᲝᲙᲘᲝ,** 6 თებერვალი. (საკდესი). ქალაქ ხოიის (ტოკიოს პრეფექტურა) დემოკრატიულმა ძალებმა მოიპოვეს დიდი გამარჯვება ამას წინათ გამართულ მუნიციპალურ არჩევნებში: 26 დეპუტატის მანდატიდან ნახევარზე მეტი მიიღეს დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებმა, იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ ქალაქის მუნიციპალიტეტში მიიღო სამი ადგილი, სოციალისტურმა პარტიამ — ცხრა ადგილი.

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ...

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ** კავშირის მშრომელებმა და მოძმე რუმინელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მე-15 წლისთავი.

ორი მოძმე ხალხის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც თბილისში გაიმართა. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზში შეიკრიბნენ საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტები, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სტუდენტები.

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **ა. ეფენტაკი.**

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა **ვ. ბერიძემ.** მან აღნიშნა სახალხო რუმინეთის მშრომელთა მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში, თქვა, რომ დღითიდღე მტკიცდება ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის. მეგობრობის ხელშეკრულება, რომელიც 15 წლის წინათ დაიდო, განაცხადა მან, მტკიცე საფუძველია ძმური ურთიერთობისა ჩვენი ქვეყნების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვების ინტერესებისათვის.

საღამოზე გამოვიდნენ რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირთან რუმინეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობისადმი. (საკდესი).

# ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲗᲐ

## სსრ კავშირის მთავრობის ნოტები საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებისადმი

**საბჭოთა** მთავრობამ ნოტები გაუგზავნა საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელმოწერილია პარიზში 22 იანვარს. ეს ნოტები სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ გადასცა 5 თებერვალს საფრანგეთის ელჩს სსრ კავშირში მ. დეეანს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს მოსკოვში ხ. გრეპერს.

* * *

საბჭოთა მთავრობის ნოტაში საფრანგეთის მთავრობისადმი ნაზგასმულია, რომ საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთშრომლობის ხელშეკრულების შესახებ ცხადყოფს, რომ იგი აფორმებს საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ომდროინდელ-პოლიტიკურ კავშირს, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებასა და ომისთა მზვიდობებსა და უშიშროებისათვის ძირისგამოთხრას, უწინარეს ყოვლისა, ევროპაში.

საბჭოთა კავშირისათვის ევროპის უშიშროება განუყოფელია როგორც საკუთარი უშიშროებისაგან, ისევე მთელი მსოფლიოს უშიშროებისაგან.

ნოტაში საფრანგეთის მთავრობისადმი ითქვამია, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის მთავრობებმა, რომლებსაც შეუერთდა აგრეთვე საფრანგეთი, ომის დამთავრების შემდეგ საქვეყნოდ იკისრეს ვალდებულება: აღმოფხვრათ გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი, სამუდამოდ აეცილებინათ თავიდან მათი აღორძინება და მიეღოთ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ გერმანია არასოდეს აღარ ემუქრებოდეს თავის მეზობლებს ან მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში. საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება აშკარად ბღალავს ამ ვალდებულებებს. ამ ხელშეკრულების დადება სწორედ ვოლგაზე ტალინელეთა არმიაზე დიდი გამარჯვების 20 წლისთავის წინ, როცა ამ გამარჯვებასთან ერთად საფრანგეთში თანისუფლების მზე ამობრწყინდა, ხაზს უსვამს იმას, რომ საფრანგეთის მთავრობა ყველას თვალწინ უარყოფს იდეებს, რომლებიც ანტიჰიტლერული კოალიციის ხალხების შთაგონებას წყარო იყო საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც აღნიშნულია ნოტაში, ხელშეკრულების სპეციალური დებულებით გათვალისწინებულია შემუშავება ერთო სტრატეგიისა და ტაქტიკისა ორივე ქვეყნის სახმელეთო ჯარების დაარსებლობის მიზნით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ჯარების მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მთავრობებთან, რომელიც იბრძვიან, რომ საბოლოოდ აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და მის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის გზით.

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების მთელი შინაარსი, ისევე როგორც საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა პრაქტიკული ღონისძიებანი სამხედრო დარგში და საერთაშორისო საქმეთა სფეროში, მხოლოდ განუმტკიცებს საბჭოთა მთავრობას რწმენას, რომ საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთად უკაფავენ გზას კიდევ უფრო ინტენსიურ გამალებულ შეიარაღებას და ატომური იარაღის შეიდგომ გავრცელებას დედამიწაზე აქედან გამომდინარე ყველა საშიში შედეგით.

საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის თანამშრომლობის ხელშეკრულება მარტოოდენ ხელშეკრულება როდია, რომელიც აწესრიგებს ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობას. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს არის ერთგვარი ტარანი, რომელიც მოღერებულია ევროპის მშვიდობის შენობის დასანგრევად, რომელსაც ისედაც ჯერ კიდევ არ აქვს მტკიცე საძირკველი. 22 იანვარს პარიზში დადებულია არა მშვიდობის ხელშეკრულება, არამედ ომის ხელშეკრულება.

ნოტაში ხაზგასმულია, რომ რამდენადაც საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს სურთ, როგორც ჩანს, რომ ევროპა ორი სამხედრო ბანაკის მდგომარეობაში იყოს, რომელსაც ერთმანეთისათვის დაუმიზნებიათ საბრძოლო რაკეტები, ამ პირობებში საბჭოთა კავშირი უველა თავის მოკავშირესთან — სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ერთად იძულებული იქნება გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და განახორციელოს შემდგომი ღონისძიებანი მათი საერთო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირს არა აქვს სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მის წინააღმდეგ მზა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ შეიარაღებას უპასუხოს შესაბამისად.

დასასრულ ნოტაში საფრანგეთის მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ სამხედრო შეთანხმებანი და ცდები უკუღმა დაატრიალონ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება, ვერ აიძულებენ საბჭოთა კავშირს დაუშვას დროზე ბრძოლისა მშვიდობისა და თანაარსებობისათვის, მშვიდობისათვის, რომლის განმტკიცება დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე წინათ, უნდა იყოს ყველა სახელმწიფოსა და ხალხის საერთო საქმე.

* * *

საბჭოთა მთავრობის ნოტაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირს, რომელსაც სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის, და იმ მდგომარეობის გამო, რომელიც მას უკავია როგორც სახელმწიფოს, რომელმაც მიიღო ჰიტლერული გერმანიის უსტაყვო კაპიტულაცია და აქვს გარკვეული უფლებანი და ვალდებულებანი ოთხმხრივ სამოკავშირეო შეთანხმებათა შესაბამისად, არ შეუძლია გვერდი აუაროს „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის ხელშეკრულებას გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობის შესახებ“. ხელშეკრულება აფორმებს დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს. საბჭოთა მთავრობამ ყურადღება მიაქცია საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებას იმიტომაც, რომ ამ ხელშეკრულებაში საქმე ეხება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის სამხედრო თანამშრომლობას, რომელიც შეიცავს თანამედროვე ომის წარმოებისათვის მზადების ყველა სფეროს და ხორციელდება სხვა სახელმწიფოებისათვის უაღრესად მტრულ საფუძველზე.

როგორც აღნიშნულია ნოტაში, ყველასათვის ცნობილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა უკვე მეელი რიგი წლების განმავლობაში ჯიუტად ეძებს ატომური არსენალების გასაღებებს. ოღონდ კი მოიპოვოს ატომური იარაღი და ამისათვის იყენებს ყველა საშუალებას — დაწყებული თავისი ახალგაზრდა მოკავშირეების შანტაჟის ცდებითა და დამთავრებული აშკარა ყაჩაღობა-დაპირებებით.

საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ გაუფრთხილებია ფედერაციული მთავრობა, თუ რა საბედისწერო საფრთხეს უქმნის თავის ქვეყანას, როცა ისწრაფვის რაკეტულ-ატომური იარაღით აღჭურვოს ბუნდესვერი. ძნელი წარმოსადგენი რადია, რომ თუ საქმე თერმატომბომბ ომამდე მივა, დასავლეთ გერმანიას გარდუვალად თავს დაატყდება რაკეტულ-ატომური იარაღის მძლავრი და კონცენტრირებული დარტყმები და მესამე მსოფლიო ომს იგი ვერ გადაურჩება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მომავალია გუთანი და ჩარხი, მშვიდობიანი შრომა. გერმანელთა ახლანდელი თაობის შენარჩუნებისა და ახალ თაობათა ცხოვრების სხვა ალტერნატივა არ არის.

ნოტაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ცდას — გაავრცელონ დასავლეთ ბერლინზე, რომელიც მდებარეობს მეორე გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების მოქმედება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი ძალა. საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება, როგორც მისი შინაარსი მოწმობს, მიზნად ისახავს საერთაშორისო ვითარების შეძდგომ გართულებას, წინააღმდეგობათა გაღვივებას დასავლეთ ბერლინისა და შესაძლო კონფლიქტების სხვა კერების გაჩენ, იმ პრობლემების მისასვლელების დანაღმვა, რომელებიც დიდი ხანია უნდა გადაიჭრას და რომელთა გადაჭრას ეწინააღმდეგება სხვა ხალხები.

საბჭოთა მთავრობას, და ეს კარგად იცის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ, არაერთხელ მიუმართავს ფედერაციული რესპუბლიკისათვის წინადადებით დაძლიოს წარსულში წარმოშობილი უნდობლობა. იგი მოუწოდებდა და მოუწოდებს ფედერაციულ მთავრობას მხარდამხარ იაროს იმ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებებში ხელმძღვანელობენ მშვიდობიანი თანაარსებობის, ყოველმხრივი თანამშრომლობისა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის პრინციპებით. მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სამწუხაროდ, ყურად არ იღებს ამ მოწოდებებს. საბჭოთა მთავრობას სურს იმედი იქონიოს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თავისი შემდგომი მოქმედების განსაზღვრის დროს აწონ-დაწონის ყველა შედეგს, რომელიც შეიძლება მოუტანოს ამ მოქმედებამ ფედერაციულ რესპუბლიკას, უწინარეს ყოვლისა მის უშიშროებას, რათა არ ჩაიდინოს გამოუსწორებელი რამ.

## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ — ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ

### სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

**სსრ** კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებას, რომელიც 4-5 თებერვალს მიმდინარეობდა მოსკოვში აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის თავმჯდომარეობით, შეაჯამა ჩვენს ქვეყანაში 1962 წელს გაწეული მეცნიერული მუშაობა, წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია საბჭოთა მეცნიერების მთავარ მიმართულებებში.

აკადემიის გასული წლის მეცნიერული საქმიანობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ი. აგოშკოვმა.

გასულ წელს, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმატებით იქნა დამუშავებული დიდი სიმძლავრის მთავრული გამმართველები, წარმატებით დაგვირგვინდა ზოგიერთი მასალის სიმტკიცის გადიდების ეფექტიანი მეთოდების ძიება. გასული წელი აღინიშნა ისეთი დიდი მიღწევით, როგორიც არის ხომალდების „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ გაფრენა კოსმოსში, რადიოტელეგრაფის კავშირი ვენერაზე, გავლილი.

საბჭოთა ფიზიკოსების ამა და სხვა დიდმნიშვნელოვან მიღწევებს ბევრდს უმშვენებს გასულ წელს გეოლოგების, გეოფიზიკოსების, ქიმიკოსების, ბიოლოგების, ეკონომისტების, ფილოსოფოსების, ლიტერატურათმცოდნეების მიერ მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევები.

მოხსენების გამო კამათში გამოსული მეცნიერები ა. ნ. ფრუმკინი, დ. ი. შჩერბაკოვი, ტ. ს. ხაჩატუროვი, ს. ლ. სობოლევი, მ. პ. კოსტენკო და სხვ. მთავარ ყურადღებას აქცევდნენ მეცნიერების დიდი პრობლემების დამუშავებას, წარმოებაში ყოველივე ახლი და პროგრესული დანერგვის საკითხებს. კრებამ მოისმინა საინფორმაციო მოხსენებები მეცნიერთა გასული წლის ყველაზე თვალსაჩინო ნამუშევრების შესახებ.

მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად არჩეულია აკადემიკოსი ვ. ა. კირილინი, ახალი ვადით ხელახლა აირჩიეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ციმბირის ბაყოფილების თავმჯდომარე აკადემიკოსი მ. ა. ლავრენტიევი. აკადემიის პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობაში არჩეულია უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ბ. ე. პატონი.

## „ᲙᲔᲠᲞᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

**ᲒᲣᲨᲘᲜ,** 7 თებერვალს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა მორიგი პრემიერა — დრამა „კერპი“ (ა. კრონინის რომანი „ბროუდის ციხე-სიმაგრე“, დაწერილია ს. ბეგიაშვილის მიერ). სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ხალხთა არტისტს ვასო გოძიაშვილს.

მთავარ როლებში გამოვიდნენ ვ. გოძიაშვილი, მ. დავითაშვილი, დ. ჭიკვინაძე, ე. ყიფშიძე, ს. ჭიაურელი, მ. თაბუკაშვილი და სხვ.

## ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲫᲛᲘᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡᲐᲖᲔ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** (საკდესი). სრულიად საკავშირო წიგნის აალატამ გამოაქვეყნა „ოთხრობები პუშკინის სიცოცხლეშიე დაბეჭდილ გამოცემებზე“. წიგნის ავტორს ცნობილი მსახიობს ნ. ბ. სმირნოვ-სოკოლსკის ჰქონდა ა. ს. პუშკინის სიცოცხლეშივე დაბეჭდილ გამოცემათა უმშვენიერესი კოლექციები. გასართობი მოთხრობები ამ ძვირფას გამოცემებზე, აგრეთვე გამოცემათა აღმოჩენის ამბავი გახდა ამ თავისებური და ძალზე საინტერესო ნაშრომის შინაარსი.

სმირნოვ-სოკოლსკის თითქოს გადავყავართ იმ დროში, როცა გამოდიოდა პუშკინის ქმნილებები, გვაცნობს გამომცემლებს, წიგნის გამყიდველებს. ავტორი ახასიათებს პუშკინის თითოეულ ახალ წიგნს, თითოეულ ალმანახს, სადაც იბეჭდებოდა მისი ნაწარმოებები 1814 წლიდან 1837 წლამდე, წიგნში მოცემულია ნაბეჭდი ყდები, თავფურცლის სურათები, ილუსტრაციები.

## ᲛᲝᲓᲠᲔᲘᲤᲔ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲪᲕᲚᲐ

**ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ,** (საკდესის კორ.). არქტიკისა და ანტარქტიკის ინსტიტუტში დამთავრდა „ჩრდილოეთი-15“ ექსპედიციის მომზადება, უახლოეს დღეებში ექსპედიციის მონაწილენი ორი თვითმფრინავით გაფრინდებიან არქტიკის აუზში იმისათვის, რომ 30-მდე ავტომატური რადიომეტეოროლოგიური სადგური დადგან მოდრეიფე ყინულებზე. ამ სადგურების დადგმის დროს ჰიდროლოგები და ყინულის მკვლევარები განახორციელებენ მეცნიერულ მუშაობას არქტიკული ზღვების — ლატვიის, აღმოსავლეთ — ციმბირისა და ჩუკოტის ზღვების სხვადასხვა რაიონში.

ეფენ ამისა, ექსპედიცია შეიცვლის სადგურ „ჩრდილოეთი პოლუსი-11“ პოლარელებს. იგი მდებარეობს დაახლოებით 1600 კილომეტრზე ვრანგელის კუნძულიდან, შეფარდებითი მიუწვდომლობის პოლუსს იქით და ახლა დრეიფობს იმავე რაიონში, სადაც ოდესღაც იყო სადგური „ჩრდილოეთი პოლუსი-8“.

ასევე თვითმფრინავი მოზამთრეთა ახალ ჯგუფს ჩაუყვანს ნოვოსიბირსკის კუნძულების ჩრდილოეთით (დაახლოებით 700 კილომეტრზე) მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთი პოლუსი — 10“-ზე. ეს ჯგუფი შეცვლის პოლარელებს, რომლებიც უკვე ერთი წელია აქ არიან.

ექსპედიცია „ჩრდილოეთი-15“ მუშაობას დაამთავრებს მაისის დამლევს.

## ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ

**ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.** (საკ. კორ.). ყოველწლიურად მტკიცდება უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება. ამ დღეებში მახარაძის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა დელეგაცია გაემგზავრა გენიჩესკის რაიონში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინის“ თავმჯდომარე დ. გოგუაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ხატნენების ჩაის ფაბრიკის დირექტორი დ. ნაცვლიძე, გურიანთის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. ყენტუ, სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის ვეტექიმი ზ. კალანდაძე და სოფელ სამეგრების კოლმეურნეობის მეჩაიე ლ. მანთიძე.

მახარაძელთა დელეგაცია რამდენიმე დღეს დაჰყოფს გენიჩესკში. მონაწილეობას მიიღებს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში, რომელიც გაიმართება გენიჩესკში. მახარაძელთა დელეგა

პარტიული ცხოვრება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

# პარტიული კომიტეტი სამუშაოზე

## თელავის საწარმოო სამმართველოში

## სწორი ხელმძღვანელობა წარმატების საწინდარია

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა შესაბამისად საწარმოო პრინციპის მიხედვით შექმნილი პარტიული კომიტეტები შეუდგნენ მუშაობას. ამ გვერდში მოთხრობილია თელავის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პირველ ნაბიჯებზე.

ახალი პარტიული კომიტეტების მუშაობის გაშუქება წვრილების სერიის საქმეა. ვთხოვთ რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების მუშაკებს, კომუნისტებს, გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტებსა და მკითხველებს მოგვწერონ ამ კომიტეტების მუშაობის პირველ გამოცდილებებზე, მათი მოღვაწეობის ფორმებსა და მეთოდებზე.

ახლებურად მუშაობის პირველ ნაბიჯებზე საუბარი თელაველ დაბმტელ კომუნისტთა პირველი კონფერენციით მინდა დავიწყო.

კონფერენციამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ისტორიულ დღეებში მიმდინარეობდა, აღნიშნა, რომ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შექმნილმა თელავის ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველომ მეურნეობის მართვის ახალი სისტემის მოქნილობა და მოხერხებულობა, სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა. აშკარად იგრძნობოდა, რომ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ნაოფლარ ხვავსა და ბარაქაში საწარმოო სამმართველოს წვლილი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ოდესმე, სოფლის მეურნეობის მართვის სხვა ორგანოების დროს.

იმ აზრის სისწორე, რომ მეურნეობის მართვის ახალი ორგანიზაციით, ახალი ტიპის პარტიული ხელმძღვანელობით ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკები უმოკლეს ხანში დაძლევენ სიძნელეებს პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში, პრაქტიკამ მუშაობის დაწყების პირველსავე დღეებში დადასტურა.

გამსხვილებულ თელავის რაიონს 128.735 ჰექტარი სავარგულები აქვს. აქედან 31.993 ჰექტარი სახნავ-სათესია, ველ-მინდვრების მშვენებას — ვაზს 10.360 ჰექტარი უჭირავს.

ეს ამ „მემკვიდრეობაზე“ იშლება ახლად შექმნილი პარტიული კომიტეტის მთელი საქმიანობა.

სეტყვამ და გვალვამ გასულ წელს დიდი ზარალი მოგვაყენა. ვენახის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე კოლმეურნეობებში 52 ცენტნერი შეადგინა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 40. შედეგი ცუდი არ არის, მაგრამ ზღვარს სრულიადაც არ წარმოადგენს. ახალი ზღუდეების დაპყრობისათვის ვრცელდ ფრონტზე ჩვენს წინ მოქმედების პორიზონტი.

არჩევის პირველი დღეებიდანვე პარტიულმა კომიტეტმა ინსტრუქტორების, ინსპექტორ-პარტორგანიზატორებისა და საწარმოო სამმართველოს სპეციალისტების მუშობა ისე წარმართა, რომ თავიდან აეცილებინა ამ ორი ორგანოს საქმიანობის დუბლირება.

პარტიულმა კომიტეტმა პრაქტიკული საქმიანობა კოლმეურნეობებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებით დაიწყო. სოფელ აკურაში საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებამდე, მეურნეობის საქმიანობის შესწავლა დაევალათ პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორ აკ. გერმანიშვილს და სანარმოო ტერიტორიული სამმართველოს სპეციალისტს ა. ოთარაშვილს.

ამხანაგებს საქმე არ გაუადვილეთ. გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობა კომპლექსურად შეისწავლეს. საქმეში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებული იყო სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის მოდუნებით. პარტიულმა კომიტეტმა განიხილა ერთობლივი საქმიანობის შედეგი და ამასთანავე კოლმეურნეობის გამგეობის ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების კანონდადგენილი ვადებიც დადგა. წევრთა საერთო კრებამ სავსებით დაადასტურა კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორისა და სამმართველოს სპეციალისტის მოსაზრება — მოუქნელი ხელმძღვანელობა შეცვლილ იქნა ახლით.

ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ვერა და ვერ მოწესრიგდა მეცხოველეობის დარგში არსებული ნაკლოვანებები. საკითხი შეისწავლეს ახმეტის ზონის ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა კ. კუბლაშვილმა და სამმართველოს სპეციალისტმა ნ. გაგოშიძემ.

სპეციალისტმა დაადგინა პირუტყვის სიკვდილიანობის მიზეზი, ხოლო ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა შეისწავლა პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ამ მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ პარტიულ ორგანიზაციას მთელი წლის განმავლობაში არ განეხილი პირუტყვის გამოზამთრების საკითხი. შესწავლილ იქნა გამგეობის საქმიანობაც. კოლმეურნეთა საერთო კრებამ კვლავ საქმით დაადასტურა პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალი ორგანოების აზრის სისწორე, მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნო და არტელს ახალი მუშაკი ჩაუყენა სათავეში.

ყურადღების ცენტრში ართანის კოლმეურნეობის გამგეობისა და სპეციალისტების საქმიანობა. აქ 74 ჰექტარი ვენახი ხასიათდებოდა ჰექტარზე მოღებულ იქნა უმაგალითო მოსავალი — 145 ცენტნერი, გეგმა 70 ცენტნერს ითვალისწინებდა, ხოლო ვიქტორ ჩაღმაველის ბრიგადამ, 20,4 ჰექტარზე 165 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა ჰექტარზე გაანგარიშებით. მაღალი იყო სიმინდის, ეფერზეთოვანი და სხვა კულტურების მოსავალიც.

ართანელთა მეზობელი სანიორელები წელს დაისტეკვენენ. მოსავალი ვენახსა და მინდორში თითქმის განახევრდა, მაგრამ დადგა წლის ბოლო და სანიორელებმა შრომადღეზე ართანელებთან შედარებით მეტი განაწილეს.

რა მოხდა?

საქმით დაინტერესდნენ პარტიული კომიტეტის მუშაკები და სამმართველოს სპეციალისტები. კომპლექსური შესწავლით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შრომის უყურადღებობის, მაგრამ საფასური მიიღეს. ასე ამოიხსნა ეს „გამოცანაც“. ართანაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა ნაკლებეფექტური, ვიდრე სანიორეში. პარტიული კომიტეტის ეს მოსაზრება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ მთლიანად დაადასტურა და გამგეობის უურადღებაც ამას მიაქცია.

კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები უმოკლეს ხანში დავამთავრეთ. საქმემ დაგვანახვა, რომ კოლმეურნეობებში პირველ რიგში კადრების სწორი შერჩევით შეგვეძლია მივაღწიოთ ე. წ. „ჩამორჩენილ“ და მოწინავე კოლმეურნეობათა გათანაბრებას.

მინდა გავიხსენო ლალისყურის კოლმეურნეობის წევრთა ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული საერთო კრება.

უცნაურია, რომ გამრჯე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის „კრიტიკოსებად“ ხშირად უსაქმურები, კოლმეურნეობის საქმიანობიდან განდგომილი პირები გვეგულებიან. ასეთები ცილისმწამებლური წერილების ჯღაბნასაც არ ერიდებიან.

პარტიულმა კომიტეტმა ინსპექტორ-პარტორგანიზატორი ა. მრელაშვილი და სამმართველოს სპეციალისტი ა. ბერიკაშვილი მიავლინა საქმის კომპლექსური შესწავლისათვის.

წინასწარ ჩატარებულმა პარტიულმა კრებამ ინსპექტორ-პარტორგანიზატორისა და სამმართველოს სპეციალისტის ნარკვევი მასალები მთელი გულისყურით განიხილა. დადასტურდა გამგეობის თავმჯდომარის უდანაშაულობა, ხოლო უბედების, პროგოკატორებისა და ცილისმწამებლებისათვის საკოლმეურნეო კრების ტრიბუნა ჩინური გალავნით ამოიქოლა. შენარჩუნებულ იქნა კადრები და, რაც მთავარია, პატიოსანი ადამიანების მიერ სამართლიანად გაკრიტიკებულ გამგეობას დაეხმარა ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს. მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად ლალისყურელებმა გადაწყვიტეს მექანიზატორთა სკოლებიდან და რაიონის სამეურნეო ხელმძღვანელობიდან კი არ დაელოდონ წყალობას, არამედ ფართოდ დაუპირონ ამ მიზნით ყურადღება გავამახვილეთ ვენახის სიმეჩხრესთან ბრძოლაზე. ცნობილია, რომ ძველ ვენახში სიმეჩხრე 15-20 პროცენტს აღწევს.

კოლმეურნეობა თავდადებული შრომით უკვე შეუსებულია ასობით ჰექტარი, გამორგული და გადაწყვეტილია ნახევარ მილიონზე მეტი ვაზი.

გადაჭარბებით შესრულდა 1962 წელს ახალი ვენახების გაშენების დავალება, მაგრამ პარტიული კომიტეტის არსებობის პირველი წლის საბრძოლო ამოცანა უფრო შორს მიდის — გასაშენებელია 2.840 ჰექტარი ახალი ვენახი.

ამოცანის განსახორციელებლად აქედანვე დაიწყო ბრძოლა. რეტმულობით, ყოველდღიური კონტროლით ხორციელდება სასათბურე მეურნეობის მოწესრიგება, პლანტაჟის მომზადება და ა. შ.

მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის დიდ ყურადღებას ვაქცევთ მევენახეობაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამ საქმეში განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევენ მევენახეობა-მეღვინეობისა და მეხილეობის კვლევითი ინსტიტუტის თელავის დასაყრდენი პუნქტის მეცნიერი თანამშრომლები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა ბაზებზე შექმნილი მოწინავე გამოცდილების სკოლები.

ახლა, როცა კრასნოდარელი მეგობრები მთელი სიმწვავით აყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის აუცილებლობას, ვვარაუდობთ ჰექტარზე მოვიყვანთ 14 ცენტნერი ხორცით, 30 ცენტნერი სიმინდი, სახელმწიფოს მივყიდოთ სულ ცოტა 14.850 ტონა მარცვლეული.

მექანიზაციის გამოყენებით, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით, „საკოლტექნიკის“ თელავის განყოფილების მიერ უზრუნველ შემოზიდული სასუქებით ნაკვარუდევს სინამდვილედ ვაქცევთ.

კარგა ხანია დამთავრდა საშემოდგომო ხვნა-თესვა, მზრალად ხვნა, ხოლო სათესლე მასალისათვის ზრუნვა გასულ წელსვე დავიწყეთ. თესლი მთლიანად აუკანილია კონდიციამდე. გაზაფხულს პირნათლად შეეხვედებით. საამისოდ ტექნიკა სავსებით გამზადებულია.

ამბობენ, თელავის რაიონში მეცხოველეობა არარენტაბელურია. ეს იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ჯიშთა გაუმჯობესებას, ხელოვნურ დათესვას და, რაც მთავარია, საკვები ბაზის განმტკიცებას.

პარტიულმა კომიტეტმა ამ მხრივ უკვე გადადგა ნაბიჯი.

თუ თვითმფრინავიდან მანიც შეგიხედავთ მთათუშეთისა და ცივის ღალატნი იალაღებისათვის, ეჭვი აღარ შეგეპარებათ, რომ ჩვენში ასობით ტონა ხორცის, რძის, კარაქის უჩინარი რეზერვებია.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმულია. იქნება თვითეულ ფურზე 1.200 ლიტრი რძე, ერთეულ ნეზეზე 10 გოჯი, 100 ფურზე და ფურ-კამეჩზე 90 სული ხბო და ზაჟი, 100 დედაცხვარზე 90 ბატკანი — ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

დაიწყო დოლი. ამ საქმეში თებერვალი და მარტი გადამჭრელი პერიოდია. ჩვენი ინსპექტორ-პარტორგანიზატორები, ინსტრუქტორები სამმართველოს სპეციალისტებთან ერთად საზამთრო საძოვრების ხშირი სტუმრები არიან, სისტემატურად წარმოების ადგილებზე პირუტყვის გამოზამთრების შესწავლა, პირველი ნაბიჯები საიმედოა.

ძნელია ამჟამად პირველ შედეგებზე ლაპარაკი. მაგრამ ჩვენი მუშაკების შრომითი შემართება, ყველა საქმეთა შესრულებისათვის მზადყოფნა, მებრძოლური განწყობა ჩვენს წინაშე მდგომი ზღუდეების აღების საწინდარია.

**თ. გადურაშვილი,**

თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

აკურელი მექანიზატორი გ. გუგუტიშვილი მიმდგრებში მაღალნაყოფიერ მუშაობასთან ერთად შეუნელებლად ზრუნავს ახალი კადრების აღზრდაზე. გორელ მექანიზატორთა წეროლის პასუხად მან იკისრა საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე 15 კოლმეურნეს შეასწავლოს ტრაქტორის მართვა.

სურათზე: მექანიზატორი გ. გუგუტაშვილი ტრაქტორის შემსწავლელი წრის მორიგ ჰეცადნეობაზე.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

## ... ადამიანებთან

ამას წინათ ჩვენი ზონის ინსპექტორ-პარტორგანიზატორსა და ჩემს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— თქვენს კოლმეურნეობაში, — მოთხრა მან, — ძირითადი წამყვანი დარგია მევენახეობა. ამას გარდა, წელს გექნებათ 223 ჰექტარი ხორბლისა და 160 ჰექტარი სიმინდის ნათესი. გაქვთ აგრეთვე სამი საკმაოდ მსხვილი ფერმა: მესაქონლეობის, მეღორეობისა და მეცხვარეობისა. მთელი ამ მეურნეობის მოვლა-პატრონობა შეგეძლებათ, თუ უნარიანად გამოიყენებთ თქვენს ხელთ არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ამიტომ, ეფიქრობ, საჭიროა ამ დღეებში პარტიული კრება მოიწვიოთ და განიხილოთ საგაზაფხულო სამუშაობისათვის მზადების საკითხი, თანაც ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებასა და წესრიგში მოყვანაზე.

ასეც მოვიქეცი.

პარტიულ კრებაზე კომუნისტებმა ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. გამომეცხადა, რომ მექანიზატორებს ხელი ეშლებათ სათადარიგო ნაწილების უქონლობით.

კრებამ გამოაყო კომუნისტთა ჯგუფი, რომელსაც დავალა სისტემატური კონტროლი გაეწიოს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობას და მიღოს ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ამ ღონისძიებამ დაიჩქარა როგორც მანქანების რემონტი, ისე თესლის მომზადება და კონდიციამდე აყვანა.

წელს განზრახული გვაქვს 95 ჰექტარი ახალი ვენახი გავაშენოთ. საამისოდ პლანტაჟის მომზადებას მექანიზატორები ადგილად შეძლებენ. ძნელია და მთავარი საზრუნავი საქმეა ნერგის მომზადება. მყნობელთა ძველი კადრები ვერ უზრუნველყოფენ 800.000 ნერგის მოკლე დროში, სეზონში დამყნობას. მყნობელთა ახალი კადრების მომზადების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები.

ამ დღეებში ჩვენმა კოლმეურნეებმა განიხილეს კრასნოდარელთა პატრიოტული წამოწყება, ერთსულოვნად მოიწონეს იგი და გაიარეს შეკრებება 1963 წელს ყურძნის, მარცვლეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზომებზე.

**ნ. ბესაშვილი,**

კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის პარტიორგის მდივანი.

## ... ადამიანებზე

### მოგითხრობთ ინსპექტორ-პარტორგანიზატორზე

# გულთან მიტანილი საქმე

ამ ჭაბუკს მთელი ალაზნისპირეთი იცნობს.

— წინანდლაში ცხვარ-ძროხას დოსტაქრობდა, კარგი ჯიგელია, — გვითხრა მასზე ერთმა დროულმა კოლმეურნემ.

— ჩვენთან. ბარე ხუთი სოფლის ზოოტექნიკოსთა ერთ-ერთი თავკაცი იყო, — გვითხრეს რუსპირელებმა.

ჭიღარა იყალთოში, როგორც გვითხრეს, მეცხოველეობის ფერმას ასეთი გამგე თოქმის არ ჰყოლია.

შემდეგ იყალთოელი ვაჟკაცი პარტიის თელავის რაიკომის ინსტრუქტორად დაწინაურეს.

და აკაკი გერმანიშვილი პარტიელი მუშაკი გახდა.

ბევრჯერ გაეგონა აკაკის, რომ პარტიული მუშაობა ადამიანთმცოდნეობაა, თავისებური ხელოვნებაა. და აკაკიც გულმოდგინედ შეუდგა ამ ხელოვნების საიდუმლოს დაუფლებას.

ვინ იცის, მერამდენჯერ გადაიკითხა პარტიის ისტორია, პარტიის წესდება, ინსტრუქციები, ბროშურების სერია „პარტიული მუშაკის დასახმარებლად“. ბევრი რამ წაიკითხა პარტიული მუშაობის მეთოდსა და სტილზე, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ წიგნი ერთია, ცხოვრება — მეორე. ცოდნისა და პრაქტიკის შეხამება კი ცოტა ძნელი საქმე ყოფილა... წიგნში სხვა ეწერა, ცხოვრებაში კი მისი მუშაობა დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: მთელი დღეები საჩივრებისა და ანონიმური წერილების კითხვას და მოხსენებითი ბარათების წერას უნდებოდა, ან ბიუროზე გამოსატანად საკითხების მომზადებას. მთელ დღეს მოუცლელი იყო. ხან კოლმეურნეობაში იყო, ხან ქარხანაში. ცოცალი ორგანიზატორული მუშაობისათვის დრო არ რჩებოდა. ორ კურდღელს დასდეგდა— აქეთ სოფლის მეურნეობას, იქით — მრეწველობას.

— კანცელარიულ მუშაკად უფრო ეგრძნობდი თავს, ვიდრე ცოცალი პრაქტიკული მუშაობის ორგანიზატორად, — ამბობს აკაკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალები დღეს კომუნისტ აკაკი გერმანიშვილის არსებობის პუნია.

დიდხანს ფიქრობდა პლენუმის მასალების ყოველი სტრიქონის არსზე აკაკი. ცვლილებები გრანდიოზულია.

თელავის გამსხვილებული რაიონის კომუნისტთა სათაევნია თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი. ეს თელავის რაიკომის ახალი სახელი ფორმითა და სტილით. თელავისა და ახმეტის რაიონების გაერთიანება უბრალო არითმეტიკული მოქმედება როდია, ან გეოგრაფიული საზღვრების მექანიკური გადაადგილება, ყოველივე ამის უკან დიდი თვისებრივი გარდაქმნები უნდა დავინახოთ ჩვენს პარტიულ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ვინც ამ თვისებრივ გარდაქმნათა არსს არ ჩასწვდება, მას არც ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები ესმის.

ამ საკითხის გარკვევა იყო გერმანიშვილის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი სკკპ ნოემბრის პლენუმის მასალების ჯერ შესწავლისა და შემდეგ განხორციელების გზაზე. რა მოიტანა ახალი მის ცხოვრებაში ნოემბრის პლენუმმა?

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი გერმანიშვილი საწარმო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორად იქცა. ეს სახელწოდების უბრალო გაყოფაცლა როდი იყო. ახალ ამოცანებს აყენებდა ახალი თანამდებობა კომუნისტ გერმანიშვილის წინაშე.

გერმანიშვილის გზა იდეალური როდია, ასეთი არც არსებობს ბუნებაში, მაგრამ მაინც საინტერესოა მისი პირველი ნაბიჯები ახლებურად მუშაობის გზაზე.

აკაკი მიხედა, რომ ახალ პირობებში, როცა პარტიული კომიტეტი საწარმოო პრინციპის მიხედვით აიგო და მას მისცეს სამუშაო ასპარეზი — სოფლების ვანის, ბუშეტის, აკურის, ხოდაშნის სასოფლო-სამეურნეო არტელების სახით, — საჭიროა ახლებურად მუშაობა. არ კმარა ახლა ჩაირბინო სოფლში. ჰაიპარად აიღო ციფრები და ფაქტები. წერო გრძელი შოხსენებითი ბარათები ან ბიუროზე გასატანი საკითხების პროექტები, კრებებზე წარმოთქვა გრძელი და ზოგადი სიტყვები. არა, კომიტეტი რომ საწარმოო პრინციპით არის აგებული, ეს პირველ რიგში მაგალეგს, — ამბობს აკაკი გერმანიშვილი — ხუთზე ვისწავლო სასოფლო-სამეურნეო არითმეტიკა, ღრმად ჩავწვდე კონკრეტულ ეკონომიკას, მერე ფანქრით ხელში ჩავუჯდე თვითეული სასოფლო-სამეურნეო არტელის საწარმოო მაჩვენებლებს და ანალიზი გავუკეთო მათ. გავიგო გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზები, გამოვავლინო რეზერვები... უფრო ახლოს მივიდე ადამიანებთან. ყოველივე ეს უნდა გავაკეთოთ პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლების გზით.

— სახელწოდება ინსპექტორ-პარტორგანიზატორი, — განაგრძობს აკაკი გერმანიშვილი, — მავალებს ვიყო წარმოების ორგანიზატორი და არა ფაქტების რეგისტრატორი. ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა უწინარეს ყოვლისა... ეს კი ადამიანებთან, კადრებთან მუშაობაა პირველ რიგში.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ინსპექტორ-პარტორგანიზატორ გერმანიშვილის მუშაობის პრაქტიკიდან.

ჩვენი კოლმეურნეობა წლების მანძილზე მოწინავე იყო, ახლა კი საგრძნობლად ჩამორჩა, — ხშირად გაუგონია კოლმეურნეებისაგან სოფელ აკურაში გერმანიშვილს. ერთხელ შაკიმ გადასინჯა კოლმეურნეობის უკანასკნელი 3-4 წლის ძირითადი მაჩვენებლები. მართლაც უკანასკნელ წლებში აკურის სასოფლო-სამეურნეო არტელი არარენტაბელური გახდა. კილოგრამი ხორცი არტელს 1 მანეთი და 75 კაპიკი უჯდებოდა ნაცვლად ეგგმით გათვალისწინებული 80 კაპიკისა, ხოლო კილოგრამი რძე 28 კაპიკი, ეგგმით კი 11 კაპიკი იყო გათვალისწინებული. დაბალი იყო ყურძნისა და სიმინდის მოსავალი. დედალორზე 2-3 გოჯს იღებდნენ 6-7-ის ნაცვლად, ვენახი გამეჩხერდა, 3000 ძირი ახალნაყარი ვაზი მოუელვლობით გაქვრანდა.

გერმანიშვილმა ბეგრი იფიქრა მიზეზებზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ქებზიშვილი თითქმის ყველაფერს ძირითადად ამბობდა პირობებით — გვაღვიძა: და სეტყვით ხსნიდა. მაგრამ საქმე მარტო ამაში რიდი იყო.

ერთმა უბრალო ფაქტმა ბევრი რამ გაბადა ნათელი. არტელის სასილოსე ორმოები გატეხრული ჰქონდათ. ასეთ პირობებში ტონა სილოსის ამოღება 1 შრომადღე უჯდებოდა კოლმეურნეობას. აკაკიმ შესთავაზა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ტეხრების ამოღება, ისე რომ სასილოსე ორმოში ურმები თავისუფლად შესულიყენენ. თუ ეს გაკეთდებოდა, კოლმეურნეობა 200-მდე შრომადღის ეკონომიას გაკეთებდა აი მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთ-ერთი აუმოქმედებელი რეზერვი. მაგრამ ძნელი გახდა თავმჯდომარის დარწმუნება ამაში. ისევე როგორც ჭყინტლი და ბაზი სიმინდის დასილოსვლის აუცილებლობაში. გერმანიშვილმა პრინციპულობა გამოიჩინა და ერთიც და მეორეც გააკეთებინა თავმჯდომარეს, მას შემდეგ რაც ამ საქმეში პარტიული ორგანიზაცია და რაიონული გაზეთი „ალაზნის განთიადი“ ჩაერია.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა დაინახა, რომ ამბ. ქეგხიშვილი თავის თავში ზედმეტად დარწმუნებული ამხანაგია, მხოლოდ დღეგანდელი დღით ცხოვრობს და პერსპექტივაში ვერაფერს ხედავს. იოლი ავტორიტეტის მოპოვების მიზნით კოლმეურნეებს წლის დასაწყისში შრომის მაღალ ანაზღაურებას პპირდებოდა, წლის ბოლოს კი ავანსად გაცემულსაც ზოჯერ ვალად აწერდა. სიტყვა და საქმე ერთმანეთს დასცილდა, ავტორიტეტს ბზარი გაეჭრა. ცდილობდა ქეგხიშვილი, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. ვერ შეათავსა ერთმანეთთან დაუსწრებლად სწავლა და დიდი კოლმეურნეობის გაძღოლა.

არტელის ეკონომიური ჩამორჩენის გერმანიშვილისეულ ანალიზს ანგარიში გაეწიეს საწარმოო სამმართველომ, პარტიულმა კომიტეტმა, და აკურის სასოფლო-სამეურნეო არტელის საერთო კრებას ურჩიეს— ახალი უნარიანი კომუნისტი დაეყენებინათ კოლმეურნეობის სათავეში.

ამ ერთ ფაქტში ინსპექტორ-პარტორგანიზატორ გერმანიშვილის მუშაობის სტილის ბევრი თვისება ამოიხსნა: წარმოების ეკონომიკაში ღრმად ჩაწვდომა და მისი ანალიზი, კონკრეტული ხელმძღვანელობა. ბრძოლა ჩამორჩენის გამოშფვნეი მიზეზების დასაძლევად. წარმოების რეზერვების გამონახვა, ცოცხალი კავშირი ადამიანებთან. საქმიანობა და პრინციპულობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

ადამიანებზე ზრუნვა და გულისხმიერება პირველ რიგში. — ასეთია ინსპექტორ-პარტორგანიზატორ გერმანიშვილის დევიზი.

იყო ასეთი შემთხვევა. 15 აკურელი კოლმეურნე ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს თელავის მოზრდილთა საღამო სკოლაში. ერთხელ კოლმეურნეობის გამგეობის წევრმა ახალგაზრდა კომუნისტმა თ. ჭურღულიშვილმა შესჩივლა ინსპექტორ-პარტორგანიზატორს, მუშაობის შემდეგ თელავში წასასვლელად გამგეობა მანქანას არ გვაძლევსო.

— მერე და შენ ხომ გამგეობის წევრი ხარ, დაადგენე საკითხი, — უთხრა გერმანიშვილმა, — და მანამდე არ მოეშვა ჭურღულიშვილს, სანამ ამ უკანასკნელმა ნამდვილად არ იგრძნო თავი კოლმეურნეობის გამგეობის წევრად და არ მიაღწია საქმის გაკეთებას.

— მეურეობის იმედი ნუ გაქვს, დიდ თუ პატარა საქმეში პრინციპული იყავი, — უთხრა გერმანიშვილმა ახალგაზრდა კომუნისტს.

ამ ფაქტშიც ჩანს გერმანიშვილის მუშაობის სტილის ნიშნები პარტიული თუ სამეურნეო მუშაკის აქტივობის ამაღლება, ზრუნვა ადამიანებზე. მომთხოვნელობა, განხორციელება პრინციპისა: იმუშავე შენ, ამუშავე სხვაც.

გამოქვეყნდა თუ არა პრესაში გორელ მექანიზატორთა მიმართვა „დავეუფლოთ მანქანის მართვას“— ლეგენდაა „სოფლის მეურნეობის თვითეულ მშრომელს — მექანიზატორის სპეციალობა“. ინსპექტორ-პარტორგანიზატორი გერმანიშვილი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან ერთად სათავეში ჩაუდგა აკურაში ამ მოწოდების განხორციელებას. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვის შემსწავლელი წრეები. მარტო საქართველოს სსრ დამსახურებულ მექანიზატორ ვ. გუგუტაშვილთან მეცადინეობს 15 კოლმეურნე.

წარმოდგენილია თანამედროვე პარტიული მუშაკი, რომელიც არ სწავლობს, ყოველ დღე არ იზრდება.

გერმანიშვილი ყოველდღე სწავლობს არა მარტო პარტიული მუშაობის ალფასა და ომეგას, არამედ სხვადასხვა მომიჯნავე სპეციალობებსაც ეუფლება.

პარტიული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს ის სწავლობს პირველ რიგში ძველი ბოლშევიკებისა და უფროსი კოლეგებისაგან.

ჩემთვის თავისებური სკოლა იყო პარტიულ კრებებზე ყოფნა. მომწიფებული საკითხის შესწავლა, განხილვა, კრებისათვის საკითხ მიმართულების მიცემა, ეს ყველაფერი იქ შეეძინნენ. პარტიულ კრებებზე გვიგმა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ძალა.

— პარტიული კომიტეტის მუშაკები ბევრს სწავლობენ ხალხისაგან. მეც ვბაძავ მათ, ამბობს გერმანიშვილი, — კომიტეტის მდივანი ორ დღეს სწავლობდა მყნობას ცნობილი ართანელი მყნობელისაგან. მეც შევიისწავლე მერე ვაზის მყნობა.

დღეს ინსპექტორ-პარტორგანიზატორი გერმანიშვილი არა მარტო კარგი ზოოტექნიკოსია. მან ისწავლა ტრაქტორისა და მანქანის მართვა, ეუფლება მემცენარეობას, სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალობებს, დაუსწრებლად სწავლობს თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში.

დრო მოითხოვს ამას, ძალიან რთული და მრავალმხრივია პარტიული მუშაკის პროფესია. ეს ადამიანთმცოდნეობაა. აქ არა მარტო ციფრებთან და ფაქტებთან გაქვს საქმე. ციფრებს და ფაქტებს უკან ადამიანი უნდა დაინახო მთელი მისი სისრულით.

მშრომელთა წერილებს გულისხმიერად ეკიდება ინსპექტორ-პარტორგანიზატორი. გერმანიშვილი იბრძვის იმ პარტიული და სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც ზემოდან დირექტივების მოლოდინში არიან.

ამ დღეებში ინსპექტორ-პარტორგანიზატორი კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების მოსამზადებლად მუშაობდა. მაგრამ კარზე მომდგარია საგაზაფხულო თესვა. ინსპექტორ-პარტორგანიზატორს აწუხებდა, რომ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელიც მის ზონაში შედის, 200 ცენტნერამდე უკონდიციო თესლი ჰქონდა. ამის თაობაზე წინანდლელ კომუნისტებს საქმიანი და კონკრეტული მსჯელობა ჰქონდათ. ინსპექტორ-პარტორგანიზატორი „საქმოლტექნიკის“ თელავის განყოფილების ხელმძღვანელი სტუმარია. მას ისიც აწუხებს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში არა აქვთ თესლის საწმენდი და დამზარისხებელი მანქანები...

ახლის გრძნობა, მისი დანერგვისათვის ორგანიზატორული მუშაობის გაწევა ინსპექტორ-პარტორგანიზატორის მუშაობის სტილის განუყოფელი ნაწილია.

**ვლ. ალფენიძე,**
**მ. აროშიძე,**
**ს. ჟოკლაძე,**

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

თბილისი.

# ზღუდეები და რეზერვები

### ყუგანელთა მოწოდების კასუხად

განვლილ 1962 წელს პირველი გამოცდა ჩაბარეს სოფლის მეურნეობის მარცოგის ახალმა ორგანოებმა და, უნდა ითქვას, წარმატებითაც ჩაბარეს.

ამას ნათლად გვიჩვენებს ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითი. სრულმოსავლიანი ვენახის ყოველ ჰექტარზე შაშაზ 145 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ და სახელმწიფოს 1.118 ტონა ყურძენი მივყიდეთ გეგმით გათვალისწინებული 518 ტონის ნაცვლად. დიდი გადაჭარბებით შეასრულეთ ავარეთვე სიმინდის, ხორბლის და ბერნის წარმოების დავალება. სიმინდი 105 ჰექტარზე გვეთესა, აქედან მარცვლად 75 ჰექტარი ავიღეთ და საშუალოდ ჰექტარზე 39,6 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. ბერნის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 330 ცენტნერს გადააჭარბა. გეგმა კი 140 ცენტნერს ითვალისწინებდა. ამგვარად, ართანელმა კოლმეურნეებმა უკვე აიღეს ყურძნის, სიმინდის, ხორბლისა და ბერნის წარმოების ზღუდეები, რომლებიც ართანის XXII ყრილობის გადწყვეტილებით დასახულია კომუნისტური მშენებლობის პირველი ათწლეულისათვის. ეს საწარმო სამმართველოსა და მისი პარტიული ორგანიზაციის კვალიფიციური ხელმძღვანელობის შედეგია.

ჩვენს ამ წარმატებას ანელებს მეცხოველეობაში არსებული ჩამორჩენა, მართალია მსხვილფეხა პირუტყვის, ღორისა და ცხ

# საბჭოთა მთავრობის განცხადება იაპონიის მთავრობისადმი

6 თებერვალს სსრ კავშირის ელჩი ტოკიოში ვ. მ. ვინოგრადოვი ეწვია იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ოჰირას და საბჭოთა მთავრობის დავალებით გაუკეთა შემდეგი განცხადება:

„როგორც ცნობილი გახდა, იაპონიის მთავრობა დათანხმდა, რომ ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავები შეიყვანენ ჯაპონიის ნავსადგურებში. ამრიგად, საქმე ეხება ღონისძიებებს, რომელთაც მოიყვანენ იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება. ამასთან იმ მიმართულებით, რომ იაპონიის კუნძულების რაიონში და უშუალოდ მათს ტერიტორიაზე თავს მოიყრის უაღრესად გამანადგურებელი სტრატეგიული იარაღი.

საქმეს არ აქვს ის, რომ ამერიკის წყალქვეშა ნავების შესვლას იაპონიის ნავსადგურებში ამართლებენ ხელოვნური საბუთებით, თითქოს ეს შესვლა გამოწვეული იყოს ამ ნავების პერსონალისათვის საჭირო დასვენებით. საეჭვოა, რომ ეს საბუთები დაიჯერონ ყველაზე გულუბრყვილო და პოლიტიკისაგან შორს მდგომმა ადამიანებმაც კი. მართებულია მოგაგონო, რომ უ-2 თვითმფრინავები, რომელთაც იყენებდნენ პროვოკაციული შეჭრისათვის სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცეში, განლაგებული იყო ამერიკის ბაზებში საზღვარგარეთ, მათ შორის იაპონიაში, უწყინარი საბაბით, ვითომ მეტეოროლოგიურ საქმიანობის ეწევიანო.

ცხადია, რომ წყალქვეშა ნავებმა, რომლებიც თავდაპირველად შეიძლება შევიდნენ იაპონიის ნავსადგურებში ფარაკეტებოდაც, ამ შემთხვევაში გზა უნდა გაუკაფონ ამერიკის ატომურ იარაღს ჯაპონიაში.

იაპონიის ოფიციალური ორგანოები იმიზეზებენ იმას, რომ ამერიკის წყალქვეშა ნავები შეიყვანენ იოკინაციოსა და ტაივანის ნავსადგურებში. ეს კი იმას მოწმობს, რომ ამით იაპონიის ნავსადგურები გადაიქცევა ამერიკის შეიარაღებული ძალების ისეთივე საყრდენ პუნქტებად, როგორიცაა მათ მიერ ოკუპირებული ოკინავა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია — ტაივანი.

უცხოელთა ჯარების განლაგება იაპონიის ტერიტორიაზე, ნებართვა, რომ მის ნავსადგურებში შეივიდეს უცხოელთა ატომური ფლოტი — განურჩევლად იმისა, შეიძლება თუ სპორადულია ამ ფლოტის ბაზირება — არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საშინაო საქმე მოცემული ქვეყნისა, რადგანაც ეს შეეხება იაპონიის მეზობლთა უშიშროების ინტერესებს, შორეული აღმოსავლეთის მშვიდობის ინტერესებს. ასეთი ნაბიჯები საბჭოთა კავშირს აიძულებენ აუცილებლობის წინაშე — გაითვალისწინოს მთელი ეს სამხედრო მზადება, რაც მისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს წარმოებს, თავისი თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელების დროს შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა მთავრობას უნდა თავიდან აიცილოს მოვლენათა ამგვარი განვითარება. ახლა, კორეის ზღვის რაიონში წარმოქმნილი კრიზისის დაძლევის შემდეგ, განსაკუთრებით საჭიროა, რომ თითოეულმა მთავრობამ შეიკავოს თავი ყოველგვარი აქტისაგან, რომლებიც ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას. ხალხები ყველა ქვეყნის მთავრობებისაგან მოელიან ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას, ომის საფრთხის აღმოფხვრას.

სსრ კავშირის მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ იაპონიის მთავრობა ჯეროვანი გაგებით მოეკიდება ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, გაითვალისწინებს იმას, თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს იაპონიას მისი ტერიტორიის გამოყენებამ მესამე ქვეყნების მიერ სამხედრო-სტრატეგიული მიზნით, და არ გადადგამს რაიმე ნაბიჯს, რომელიც გაამწვავებდა მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში.

# საბჭოთა ადამიანები პროტესტს აცხადებენ



თეთრი სახლის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის, უმაღლესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს მისამართით მიღებული მრავალი წერილი საბჭოთა ადამიანებისაგან, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სასამართლოს წესით ანგარიშს უწყრიტებს კომუნისტურ პარტიას. ბევრი ავტორი პრესის სააგენტო „ახალ ამბებს“ სთხოვს გაუგზავნოს მათი წერილები თეთრ სახლს, აცნობოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებს მათი აზრი ამერიკის პროგრესული ადამიანების უკანონო დევნის გამო.

პრესის სააგენტო „ახალი ამბები“ ამ წერილების ნაწილს გვაწვდის ჩვენს გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

□ □

## თვითნებობის აქტი

### ჯონ კენედის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს,

ვაშინგტონი.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის პროცესი გვიჩვენებს ამერიკული ფსევდოდემოკრატიის საზიზღარ სახეს. ამერიკის პოლიტიკური მოღვაწეები მთელ მსოფლიოში გაჟღვირიან თავიანთი ქვეყნის ცხოვრების წესზე როგორც ნამდვილი თავისუფლებისა და ყველაზე სრული დემოკრატიის ეტალონზე. მათ როდი რცხვენიათ, რომ კაცობრობა, რასობრივ დისკრიმინაციას, აღვირახსნილ მაკარტიზმსა და, ბოლოს, ამერიკის კომუნისტური პარტიის მუდმივ დევნას რომ ხედავს, ყოველივე ამით ხვდება, თუ რამდენად ფარისევლურია მათი სიტყვები, რამდენად სცილდება მათი დეკლამაცია პოლიტიკურ პრაქტიკას შეერთებული შტატების შიგნით. როგორც ყველა პატრიოსან ადამიანს, მე არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი ღრმა ზიზღი ისეთი ფაქტის მიმართ, როგორიც არის კომპარტიის მოღვაწეობის აკრძალვის ცდა.

ალექსი სურკოვი,
მწერალი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ნუ გაგაკვირვებთ თქვენთვის უცნობი ადამიანების ეს წერილი. ის, რაც გვინდა გითხრათ, იმდენად გვაღელვებს, რომ თავს ნებას ვაძლევთ დავარღვიოთ ეტიკეტი, მით უმეტეს, რომ თქვენ, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ალბათ ხშირად გიხდებათ გქონდეთ საქმე უცნობ ადამიანთა წერილებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ რეპრესიების ახალმა ტალღამ გვაიძულა მოგმართოთ თქვენ. გთხოვთ ნუ ჩათვლით ჩვენს ამ წერილს თქვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდად. რა თქმა უნდა, ეს ჩარევა არ არის. მაგრამ იმას, რაც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება, ხომ მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში თავისუფლებისა და მშვიდობის საქმისათვის. ეს გასაგებიც არის. თქვენი ქვეყანა დიდი სახელმწიფოა, და ოკეანეს გაღმა მომხდარი მოვლენები გარდუვალად იწვევს გამოხმაურებას დედამიწის ყველა ნაწილში. იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს უსამართლო და კანონსაწინააღმდეგო მოქმედება კომფუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ ხელს უწყობს მშვიდობისა და პროგრესის მტრებს. აი რატომ ასე გვაღელვებს ეს.

ამ წერილის ავტორები ახალგაზრდები როდიონ ვარნი, ორი მსოფლიო ომი გადავიტანეთ და ბესამე არ გვინდა. ჩვენი რწმენით უაღრესად მშვიდობიანი ადამიანები ვართ, ყველაზე ჰუმანური პროფესიების წარმომადგენლები — მედიცინის მუშაკები. მთელი ჩვენი სიცოცხლე ავადყოფობასთან ბრძოლას მოვახმარეთ. ჩვენი მეცნიერება სახელმწიფო საზღვრებს არ ცნობს. ჩვენს კლინიკებში ვმკურნალობთ ყველა ადამიანს განურჩევლად მათი ეროვნებისა და რწმენისა. და ჩვენ ძალიან გვაკვირვებს, რომ ლინკოლნისა და რუზველტის ქვეყანაში სდევნიან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთ მათი პოლიტიკური რწმენისათვის, იმისათვის, რომ ისინი მშვიდობისათვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის იბრძვიან.

მოგმართავთ თქვენ ამ წერილით, იმიტომ რომ იმედი გვაქვს, რომ თქვენც, როგორც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს სათავეში მდგომი ადამიანი, იზიარებთ ჩვენს შეშფოთებას ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიული ორგანიზაციების უფლებებზე შეტევასთან დაკავშირებით. თქვენ ძალგიძთ შეაჩეროთ რეაქციული ძალების იერიში კომპარტიაზე, რომელიც თავდადებულად იბრძვის ამერიკელი ხალხის შედნერებისათვის.

ღრმა პატივისცემით!

ნადეიდა პუჩკოვსკაია — პროფესორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოს ფილატოვის სახელობის თვალის ავადყოფობათა და ქსოვილთა თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

ივანე დენისაკ — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი.

ნინო ანინა-რადჩენკო — პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეჩნიკოვის სახელობის ეპიდემიოლოგიის და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

ქალაქი ოდესა.

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონ კენედის

# პროვოკაციული კამპანია ამერიკაში

ვაშინგტონი, 6 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშენჩენკო იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების ექტესიული იმპერიალისტური წრეების წარმომადგენლები აღვივებენ პროვოკაციულ ანტიკომუნისტურ კამპანიას. კონგრესში, რადიოში, ტელევიზიოსა და პრესაში ისინი ავრცელებენ სიცრუეს, თითქოს კუბაში „ვლავ „იზრდება საბჭოთა სამხედრო ძალა“ და რომ იქ წრნენდებერად არის მოქმედების საშუალო რადიუსის საბჭოთა რაკეტები, რომლებიც ვითომდა „საფრთხეს უქმნიან“ შეერთებულ შტატებს.

ამ პროვოკაციულ კამპანიაში ტონს იძლევა სენატორი ჯ. კიტინგი, რომელიც ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეგზეფერდებულ „ოფიციანთა“ წარმომადგენელია.

„ადრე თუ გვიან, — ამბობდა ამას წინათ ეს სენატორი, — ჩვენ უნდა გადავწყვეტოთ, ბოლო მოვუღოთ ამას თუ თავლაყური ვიდეგნოთ, როგორ ჰაიდენ ბელში კომუნისტები სამხრეთ ამერიკას“.

4 თებერვალს ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში სიტყვა წარმოთქვა კონგრესმენმა დ. ბრიუსმა. დიამოწმა რა ინფორმაცია, რომელიც „მეგობრულად განწყობილი დიპლომატებისგან“ მიიღო, იგი ამტკიცებდა, რომ კუბაში დღემდე არის მოქმედების საშუალო რადიუსის 40 ან მეტი საბჭოთა რაკეტა, რომლებსაც შეუძლიათ დარტყმა მიაყენონ ამერიკის ქალაქებს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ უარყო ბრიუსის განცხადება.

ლონანცელს კუბის გამო ახლა ტმთავრობებდამშენი, რომელთა შესახებ ცნობა გვქონდა, რომ კუბაში იყო“.

მაკორნმა დასძინა, რომ ქვეკომისიის სხდომაზე გაკეთებული მოხსენება „შეთანხმებული ახრია ამერიკის შეერთებული შტატების იმ დაზვერვებს ხელმეთა საბჭოსი“, რომელშიც შედიან მთავრობის ყველა ორგანოს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები.

## მოშის კონფერენცია

მოში, 6 თებერვალი. (საკდესი). გუშინ სალამოს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის III კონფერენციის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა მირზო თურსუნ-ზადემ.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

□ ავსტრიის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 28 აპრილს დანიშნა პრეზიდენტის ახალი არჩევნები. როგორც გაზეთები იუწყებიან, ავსტრიის სოციალისტურ პარტიას განზრახული აქვს კვლავ დასახელოს თავის კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე ახლანდელი პრეზიდენტი ადოლფ შერფი.

□ 4 თებერვალს ჩიკაგოში მოკალათებულმა უსტაშელმა ელემენტებმა ბომბი შეაგდეს იუგოსლავიის გენერალური საკონსულოს შენობაში, ბომბმა, რომელშიც იყო ცეცხლგამჩენი ნარევი, ხანძარი გამოიწვია. იუგოსლავიის ვაშინგტონის საელჩომ ამასთან დაკავშირებით პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს.

□ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილე გილპატრიკი იაპონიაში ჩავიდა. იგი გამოვიდა აეროდრომზე და განაცხადა, რომ თავისი ორი დღის ვიზიტის დროს, იაპონიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან განიხილავს აზიის თანამედროვე მდგომარეობას და გამართავს თათბირს იაპონიაში განლაგებული ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობასთან.

□ ჩრდილოეთ სპერძნეთში დაიწყო ძლიერი წყალდიდობა, რაც გამოიწვია ჰაერის დათბობამ და თოვლის სწრაფმა დნობამ. წყლის დონემ მდინარეებში 5-8 მეტრით აიწია. დაიტბორა ათასობით ჰექტარი ნათესები. გლეხები, რომლებიც წყალდიდობას გაურბიან, მთებში მიდიან. სახერძნეთსა და თურქეთს შორის შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

(საკდესი).

## ლიბერიის მთავრობის ცნობა

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი მონროვიიდან (ლიბერიის დედაქალაქი) იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ლიბერიაში აღმოჩენილია შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მთავრობის დამხობასა და პრეზიდენტ უილიამ ტუბმანის მოკვლას. ლიბერიის ხელისუფლებამ შეთქმულებასთან დაკავშირებით დაიპატიმრეს 5 კაცი, მათ შორის არმიის სარდალი პოლკოვნიკი დევიდ ტომპსონი.

# საფრანგეთისა და ესპანეთის სამხედრო შეთანხმება

ლია, რომ 1963 წელს ორი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტები მონაწილეობას მიიღებენ ამ მანევრებში ოთხჯერ. საფრანგეთისა და ესპანეთის არმიების ნაწილების ერთობლივი მანევრები მოეწყობა 1964 წლის დამდეგს. შესაძლოა, რომ მიღწეულ იქნება შეთანხმება იმის შესახებ, რომ საფრანგეთის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენონ ესპანეთის ნავსადგურები და აეროდრომები. თავის მხრივ, ფრანკოს შეიარაღებული ძალები მაშინ მიიღებენ უფლებას ისარგებლონ საფრანგეთის ბაზებით.

# დროის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ

ბონი, 6 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბუნდესტაგში მთავრობის განცხადება საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე გააკეთა კანცლერმა ადენაუერმა. მან განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს განახორციელოს ძველი პოლიტიკა. ეს კი აძლიერებს დაძაბულობას და ხელს უშლის დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრას. „ძალის პოზიციიდან“ პოლიტიკის პრინციპები დომინირებდა დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურის განცხადების ყველა ნაწილში. ადენაუერმა მოითხოვა ნატოს სამხედრო ბლოკის განმტკიცება და მიესალმა „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმებს. მან დაადასტურა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მზად არის მიიღოს მონაწილეობა ამ ძალების შექმნაში.

მთავრობის განცხადება მოწმობს აგრეთვე, რომ ადენაუერსა და მის მთავრობას არ სურთ მიაღწიონ შეთანხმებას საკითხებზე, რომელთაც საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ გერმანელი ხალხისათვის. მაგალითად, კანცლერმა დაადასტურა კომპრომისის წინააღმდეგ დასავლეთ ბერლინის საკითხში. მას არ წამოუყენებია არავითარი კონკრეტული საპასუხო წინადადება ადამიანურ ფილდა ჩვენ ლ ბერლინ ცილის მწვავებლური გამოხდომებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ადენაუერმა უგულებელყო ალრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება, რომელიც სანავენ რეალურ გზას დასავლეთ ბერლინის პრობლემის გადაჭრისათვის.

ადენაუერი შეეხო „საერთო ბაზრის“ პრობლემას და განაცხადა, რომ მისი მთავრობა მოითხოვს ინგლისის შესვლას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში. მან რეზიმენ გამოთქვა, რომ ინგლისი გახდება „საერთო ბაზრის“ წევრი.

კანცლერი შეეხო საგარეოპოლიტიკურ საკითხებს და აღიარა დასავლეთ გერმანიის ეკონომიური განვითარების შენელების ფაქტი.

## ფრანკისტი დე გოლი

პარიზი, 6 თებერვალი. (საკდესი). მადრიდში დასასრულს უახლოვდება საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის გენერალ აიერეს მოლაპარაკება ფრანკოს გენერლებთან და ადმირალებთან. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამ მოლაპარაკების ძირითადი საქმე ეხებოდა ძირითადად საფრანგეთისა და ესპანეთის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების უფრო მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას.

ფრანკისტული რეჟიმი ცდილობს შეიძინოს ამით პოლიტიკური კაპიტალი. საფრანგეთისა და ესპანეთის მოლაპარაკებს, წინასწარმეტყველებენ დიდი ფრანკისტული გაზეთები „ია“ და „ამსი“, გარდუვალად მოჰყვება პოლიტიკური თანამშრომლობა. ასეთი „თანამშრომლობის“ ერთ-ერთი შედეგი, როგორც ამას ჯიუტად გაჟღერის პარიზის პრესა, უნდა იყოს ის, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს ესპანეთის კანდიდატურას „საერთო ბაზრასა“ და ნატოს სამხედრო ბლოკში მიღებისათვის. დე გოლის მთავრობის უფრო მეტ კეთილგანწყობილებას რომ მიაღწიონ, ფრანკისტული ხელისუფალნი მზად არიან დათმონ ზოგიერთი თავიანთი კოლონიური სამფლობელო აფრიკაში, კერძოდ თავიანთი კოლონია რიო-დე-ოროში, იმ მიზნით, რომ შეიქმნას იქ ფრანგული ატომური იარაღის გამოსაცდელი პოლიგონი.

# ბონელ „ჰატჩინსონ ნიუსში“ (ქანზასი, ამერიკის შეერთებული შტატები) სტატიების სერია

# ჯონ ჰარისის აღმოჩენები

**გაზეთ „ჰატჩინსონ ნიუსში“, რომელიც ამერიკის ქალაქ კანზასში გამოდის, დაიბეჭდა სერია სტატიებისა საბჭოთა კავშირის შესახებ. სტატიების ავტორია ჯონ ჰარისი, რომელმაც გასული წლის ზაფხულში ამერიკული გაზეთების რედაქტორთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო და ჩვენი ქვეყანა ინახულა. მისი შთაბეჭდილებები და დასკვნები გამოქვეყნებულია ამ გაზეთის სპეციალური დანართის სახით. დანართს ასე ეწოდება: „მოხსენება რუსეთის შესახებ“.**

**უდავოა, ბ-ნი ჰარისი საბჭოთა სინამდვილეს იმ ადამიანის თვალით უყურებდა, რომელიც მას ნაკლებად იცნობდა. ბევრი რამ, რაც საბჭოთა ადამიანს თავისთავად ნაგულისხმევად მიაჩნია, მისთვის ნამდვილი ახალი აღმოჩენა იყო, ვინაიდან იგი მიჩვეულია სხვა საზომებს — ბურჟუაზიული სამყაროს საზომებს. ბევრმა რამემ მისი გაოცება გამოიწვია.**

„მე ოდნავ ვნანობ, კრემლი რომ ვნახე. ჩემს ტვინში შექმნილი წარმოდგენა ძალიან მოხერხებული იყო, ახლა კი იგი ერთბაშად თავდაყირა დადგა. კრემლის შელი გალავანი, რომელიც წითელი აგურით არის ნაგები, მიმზიდველად უფრო გამოიყურება და ეზის ბასტიონებს როდი მოგაგონებს. კრემლის შიგნით მე აღმოვაჩინე მხოლოდ სასეირნო პარკი, რომელსაც გარშემო ლამაზი შენობები აკრავს. ათასობით ექსკურსანტი გაივლის ყოველდღე მის ტერიტორიაზე. მათ გიდები ახლავან არა კოსტროლის გასაწვევად, არამედ იმისათვის, რომ ახსნა-განმარტება მისცენ. არ მინახავს ორ ერთი ჯარისკაცი იმათ გარდა, ვინც აქ ექსკურსიით მოსულიყო“.

**ხოლო აი რას მოგვითხრობს ამერიკელი თბილისში ყოფნის შესახებ:**

„თბილისში ათ წუთს ყოფნით დარწმუნდებით, რომ ჩვენ, ამერიკელები, უხეშ შეცდომას ვუშვებთ, როცა რუსეთზე ელაპარაკობთ, როგორც მთელ საბჭოთა კავშირზე. სსრ კავშირი შტატების ფედერაცია როდია, ჩვენი შტატების მსგავსად. ეს არის კავშირი ერებისა, რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი წარმომადგენლების გარეგნობითაც, ენითაც და ზნე-ჩვეულებებითაც. უზბეკები, რომლებიც ტაშკენტში ვნახეთ, უფრო როდი ჰგვანან ქართველებს, ვიდრე ესპანელები შვეიცარიელებს...“

**საბჭოთა ადამიანების დასვენებისადმი მიძღვნილ თავში ჯონ ჰარისი წერს:**

„სოჩი შეერთებულ შტატებში რომ მდებარეობდეს სადმე, ასეთივე მარგებელი ჰაეს მქონე ადგილში, ჩვენი საზოგადოების „ნაღები“ დიდ ფულს გადიხდიდა იმისათვის, რომ აქ ერთი-ორი კვირა გაეტარებინა. სოჩი თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა — საბჭოთა საზოგადოების „ნაღების“ განკარგულებაშია გადაცემული. ისინი აქ ჩამოდიან უდიდესი რაოდენობით — ცალცალკე, ოჯახებად თუ ჯგუფებად,— რათა დაისვენონ, რაც მთელ თვეს ან მეტსაც კი გრძელდება.

**ხოლო აი რას წერს იგი სარწმუნოების თავისუფლებაზე სსრ კავშირში:**

„იმ ცოტაოდენ ადამიანებს, ვინც ჯერ კიდევ დადის სალოცავად, საბჭოთა ადამიანები ლმობიერი შემწყნარებლობით ეკიდებიან და საზოგადოებრივი თუ კერძო წესით არ ერევიან რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების შესრულებაში. მთ მიაჩნიათ, რომ მათმა კეთილსინდისიერ ადამიანებმა, რომელნიც ეკლესიაში ერევიან, ეს ... ... ...

# ერთი სამყაროს ორი კრიტიკოსი

**ა. მილერის „ხედი ხიდიდან“ და უ. გიბსონის „ორნი საქანელაზე“ ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრში**

**უკანასკნელ** ხანს თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მაყურებელს წარმოუდგინა თანამედროვე ამერიკელი დრამატურგების **არტურ მილერისა** და **უილიამ გიბსონის** პიესები **„ხედი ხიდიდან“** და **„ორნი საქანელაზე“**. თეატრალური ხელოვნების მოყვარულთა და, საერთოდ, მაყურებელთა ინტერესს სპექტაკლებისადმი ისიც აძლიერებს, რომ ისინი განხორციელებული ქართული რეჟისურის ცნობილი წარმომადგენლების მიხეილ თუმანიშვილისა და არჩილ ჩხარტიშვილის მიერ.

ა. მილერი თანამედროვე ამერიკის ყველაზე საინტერესო და გახმაურებული დრამატურგია. მისი ყოველი ნაწარმოები, რომლებიც ძირითადად ფსიქოლოგიურ ასპექტშია გადაწყვეტილი, თანამედროვე ამერიკის ყოფას, მის საჭირბოროტო პრობლემებს ეხება. ამ მხრივ ერთ-ერთი საყურადღებო პიესაა „ხედი ხიდიდან“.

ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — ალფიერი სპექტაკლის ფინალში ასეთ ფრაზას წარმოთქვამს: „მე ვიცოდი, მე ვგრძნობდი, რომ ეს მოხდებოდა, მე მეცოდინა, რომ ასე იქნებოდა... და სანამ უნდა იყოს ადამიანები შიმშილისა და უმუშევრობის მუდმივ შიშში?“ ეს სტატუები თავისებური გასაღებია მთელი ამ ტრაგედიისა, რომელიც ბრუკლინის ხიდის ქვეშ დატრიალდა. ბრუკლინის ხიდიდან კარგად მოჩანს ამერიკული ცხოვრების ხედი.

იტალიიდან შიმშილსა და უმუშევრობას გამოექცა ორი ძმა. ისინი ამერიკაში გასამდიდრებლად ჩამოვიდნენ. ლტოლვილს ამერიკა სიმდიდრისა და ბედნიერების ქვეყნად ეჩვენებათ. მაგრამ სწორედაც იმსჯერვა ის ადამიანური ოცნება და მიზნები, რომლებიც ამ ორ პატიოსან პიროვნებას ცხოვრებაში ჰქონდა დასახული.

მილერის დრამატურგიული მუზა მუდამ მწარესა და ტრაგიკულს ხედავს ყოფაში. ამიტომ ყოველი მისი ნაწარმოები და მათ შორის „ხედი ხიდიდანაც“ ტრაგიკულია. ტრაგიკული გამოდგა ამერიკელი ცხოვრება იტალიელ მარკოს და როდოლფოსათვის. ტრაგიკულია იგი თვრამეტი წლის ამერიკელი გოგონა კეტრინისათვის და თვით ისეთი რთული და, ერთი შეხედვით, ქლიერი ნებისყოფის ადამიანისათვის, როგორიც ედი. ეს რთული და მეტად საინტერესო პერსონაჟია. მის სახეში თავს იყრის ის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომლებიც პიესის სხვა პერსონაჟთა ხასიათებშია გაბნეული.

ედიმ გაზარდა მეუღლის დისშვილი, იგი ისე ეჭიდოდა გოგონას როგორც ბავშვს: სჯიდა, ტუქსავდა, შვილივითაც კი უყურებდა, მაგრამ ერთ დღეს... როცა კეტრინი თვრამეტისა ხდება, ედი მიხვდა, რომ მისი სიყვარული აღზრდილს მიმართ არ იყო მხოლოდ იმ მზრუნველი ადამიანის სიყვარული, რომელიც შვილივით უყურებდა გოგონას. კეტრინი მას უყვარდა მამაკაცურად და ეგოისტურად. ეს გრძნობა უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც გამოჩნდა როდოლფო და კეტრინმა მთელი თავისი ხალასი ბუნება და დიდი სიყვარული შეაგება მას. ძირითადად ამ სიუჟეტური რგოლის ირგვლივ ვითარდება პიესის მოქმედება.

ერთი შეხედვით ადამიანები, რომლებიც ამ სპექტაკლში ცხოვრობენ და მოქმედებენ, ინერტულ ვითარებაში არიან ერთმანეთთან, მაგრამ როცა მათ ცხოვრებაში დადგება გადამწყვეტი და კრიტიკული მომენტი, სრულიად უცნობნი და მარტონი რჩებიან. დაახლოებით ამაზე წერდა თვით ა. მილერი: „ჩვენი ყოველი ცდა — წარმოვსახოთ ადამიანი დრამატურგიულ პერსონაჟად მთავრდება მხოლოდ იმით, რომ ჩვენს „ჯანსაღ აზრს“ იგი უკმაყოფილო და უცხო ადამიანად გამოაცხადებს“. ეს არის მკაცრი სინამდვილე!

არტურ მილერმა იცის, რომ მეტად მძიმეა იმ ადამიანების ხვედრი, რომლებიც მის პიესაში მოქმედებენ. ასევე მძიმე ზემოქმედებას ახდენენ ისინი მაყურებელზე. დრამატურგს ოსტატურად შემოაქვს პიესაში როდოლფოსა და კეტრინის სიყვარულის მოტივი. ეს ნათელი და წმინდა გრძნობა ერთგვარად თითქოს ანეიტრალებს იმ მუქ ფერებსა და ტონს, რაც თანამედროვე ამერიკული ცხოვრების დომინანტია და წითელი ზოლივით გასდევს პიესას.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რეჟისორმა მიხ. თუმანიშვილმა ამ გარემოებას კარგად აუღო ალღო. პიესის რეჟისორულ ინტერპრეტაციაში მუქ დრამატულ ფერებს კანონზომიერად ენაცვლება ამ გაწყობილების გამანეიტრალებელი ფერები. „ხედი ხიდიდან“ რეჟისორისთვის არ წარმოადგენს რაიმე საპირბოროტო ძიებათა და მიგნებათა ობიექტს, რადგან დრამატურგს თვითონ აქვს გააზრებული პიესის სცენური ხორცშესხმისათვის თითქმის ყველა მთავარი ნიუანსი.

რეჟისორმა მიხ. თუმანიშვილმა და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ე. დონცოვამ ლაკონიურად გამოიყენეს სცენა. მის ერთ მხარეს მოათავსეს ედის ბინა, ხოლო მეორე მხარეს მოედანი, რითაც მსახიობებს უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცეს. ამ სახლისა და მოედნის რეჟისორული გადაწყვეტა თითქოს ერთგვარი დაფაა, რომელზეც ხდება მოქმედი პირთა სულიერი მდგომარეობის ილუსტრირება.

დამდგმელებს ვერ დაეთანხმებით იმაში, რომ ერთგვაროვან „შეკრეკულ“ პიესა. განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ამ პროცესს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია პიესის სცენური ინტერპრეტაციისათვის.

ნ. კილოსანიძე ახალბედაა თეატრში. კეტრინის როლი სადებიუტია მისთვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მშვენიერად წარმოგვიჩინა კეტრინის ცხოვრება. მსახიობისათვის დამახასიათებელი განცდის ძრდი უშუალობა და გულწრფელობა. იგი განიცდის თავისი გმირის სულიერ ცხოვრებას და ასევე პირდაპირი განცდით მოაქვს იგი მაყურებლამდე. კარგია კეტრინის როლში აგრეთვე მეორე შემსრულებელი რ. შასტიკი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ედის სახე პიესაში მეტად რთულია. უკრაინის დამსახურებულმა არტისტმა ა. ტარასკამ კარგად დაძლია თავის წინაშე დასმული ამოცანა. ედის ეგოიზმით აღსავსე ხასიათს იგი ზუსტად აღიქვამს და წარმოსახავს.

როდოლფი პიესაში გააზრებულია, როგორც კეთილი და პატიოსანი ადამიანის სახე. ბ. სტავიცკის ძირითადად ასე აქვს გაგებული თავისი როლი. მაგრამ ვფიქრობთ მას დასჭირდება თავისი ნამუშევრის უფრო დახვეწა. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ა. ერმოლოვამ (ალფიერი), ო. ლარკინამ (ბეატრისა) და განსაკუთრებით ა. ლეონიძამ (მარკო).

**ხშირად** ხდება, რომ ფიქრკვეული ფიქრებსა და ოცნებაში ატარებ ცხოვრებას. გგონია, ეხოლოდ ის არის შენი ცხოვრების მოწოდება, რასაც აკეთებ და რისთვისაც ცხოვრობ. მაგრამ აი შენთან მოვიდა სულ სხვა ადამიანი, რომელმაც მოიტანა რაღაც თავისებური, თავისი ხასიათი, ფიქრები, შეხედულებები და ეს ყველაფერი ძალიან დაგეხმარება გაპოვნინოს შენი საკუთარი თავი.

ასე მოუვიდა უილიამ გიბსონის პიესის („ორნი საქანელაზე“) ერთ-ერთ პერსონაჟს გიტელ მოსკას (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ბურმისტროვა). თავისი ცხოვრების 29 წელს ქანაობდა იგი ცხოვრების საქანელაზე, ცხოვრობდა თავისებურად და დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ეს არის მისი ცხოვრების მიზანი — ასე იაფად, უპრეტენზიოდ მოსცეს ყველას თავისი ხასიათის, სხეულის თუ ბუნების რაღაც ნაწილი და არაფერი ადამიანური არ დაიბრუნოს. მაგრამ მის ცხოვრებაში ახალ ნათელ ღილასავით მოვიდა ჯერი რაიანი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. გომიაშვილი), მოვიდა და გიტელს აპოვნინა თავისი თავი და ადგილი ცხოვრებაში.

სრულიად განსხვავებული ბუნება, ხასიათები და ცხოვრება ჰქონდა ამ ორ ამერიკელს, მაგრამ ერთში ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ეს იყო სულიერი სიმარტივე. ჯერიმ ასწავლა გიტელ მოსკას, რომ ცხოვრებაში სიყვარულის გრძნობის შემდეგ ყველაზე ტკბილია ზრუნვა ადამიანისათვის. დიახ, ზრუნვა ადამიანისათვის! სწორედ ეს არის ჯერი რაიანის სულიერი სიმდიდრე. მან გიტელი არ მიიტოვა, სანამ მზით გაბრწყინებულ ერთი შეხედვით იდილიურ სამყაროში არ გამოიყვანა. ამაშია ამ პიესის ჰუმანიზმი.

პიესაში მხოლოდ ორი მოქმედი პირია. მთელი სამი მოქმედება მიმდინარობს ერთსა და იმავე დეკორაციებში. ეს ერთგვარად ართულებდა რეჟისორის — საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის არჩილ ჩხარტიშვილის და მხატვრების ა. სლოვინსკის, ი. ჩიკვაიძის და ო. ქოჩაკიძის ამოცანას.

ამ ფიზიკურ და გარეგნულ ერთფეროვნებაში მათ უნდა შეეტანათ ბევრი საინტერესო ელემენტი, სპექტაკლისათვის გამოვნახათ გამოსახვის ისეთი საშუალებები, რომლებიც მიიზიდავდა და დაიინტერესებდა მაყურებელს. დამდგმელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მშვენიერად დაძლიეს ეს რთული ამოცანა. რეჟისორმა პიესას მოუნახა თავისებური რიტმი, რომელიც არსად არ ნელდება და რომელიც ძალიან საჭირო იყო ამ სპექტაკლისათვის. რეჟისორმა და მხატვრებმა რაციონალურად გამოიყენეს სცენის სივრცე.

არჩილ ჩხარტიშვილის სპექტაკლში „ორნი საქანელაზე“ ძალიან ბევრია პირობითი, მაგრამ არაფერია თვითმიზნური. ეს პირობითობა ყველგან გასაგები და ბუნებრივია.

ღრმად გამომსახველია ს. ნასიძის მუსიკა, რომელიც მაყურებელს ეხმარება ღრმად აღიქვას პიესის პერსონაჟების ბედი.

რთული ამოცანა იდგა ჯერი რაიანის და გიტელ მოსკას როლების შემსრულებელთა წინაშე. ნ. ბურმისტროვა და ა. გომიაშვილი მთელი სამი საათის განმავლობაში არიან სცენაზე და მაყურებელს წარმოესახავენ ამ ორი ადამიანის სულიერ სამყაროს, მათში ახლის დაბადებასა და გამარჯვებას.

ბურმისტროვას გიტელ მოსკამ გაიარა ტანჯვისა და გაცრუებული სიყვარულის გზა, მაგრამ სამაგიეროდ ისწავლა სინამდვილე, ისწავლა ცხოვრება და, რაც მთავარია, შეიცნო თავისი თავი. მსახიობი სურათიდან სურათამდე მატებს საღებავებს თავის გმირს და მეშვენივრად წარმოგვისახავს მის სულიერ ცხოვრებას.

არჩილ გომიაშვილის ჯერი რაიანი ერთგვარი სიმბოლური სახეა პიესაში. იგი სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ადამიანის განსახიერებაა, მსახიობმა წარმოგვისახა ჩვენი დღეების ინტელექტუალური ამერიკელის ტიპი, რომელიც ზიზღით უყურებს ცათამბჯენებს, რადგან სულიერი სიმშვიდე ვერ უპოვნია მათში. ჯერი ადამიანის მოვალეობას ადამიანისათვის მზრუნველობაში ხედავს.

ერთი რამ უდავოა — ამ ორი პიესის დადგმა გრიბოედოვის სახელობის თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის ახალი წარმატებაა.

**გ. გათიაშვილი.**

* * *

**სურათებზე:** (ზემოთ) სცენა სპექტაკლიდან „ხედი ხიდიდან“ (მარცხნიდან მარჯვნივ) ედი — ა. ტარასკი, ბეატრისა — ო. ლარკინა და კეტრინი — რ. შასტიკი; (ქვემოთ) სცენა სპექტაკლიდან „ორნი საქანელაზე“: გიტელ მოსკა — ნ. ბურმისტროვა, ჯერი რაიანი — ა. გომიაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მოტოციკლით მოგზაური

**სოხუმი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში ბევრი სოხუმელის ყურადღება მიიპყრო ქალაქის ქუჩებში მოტოციკლით მოსიარულე ახალგაზრდამ, რომელსაც საგზისთან გაკეთებული ჰქონდა წარწერა — „საბჭოთა კავშირის გარშემო“.

მოტოციკლისტი — 23 წლის ყრუმუნჯი, საავეჯო საამქროს ოსტატი, მოსკოველი კომკავშირელი ვიაჩესლავ დომონი საფუძვლიანად არის დაფუფლებული მოტოციკლის მართვის ტექნიკას. მოგზაურობის დაწყებიდან კარგა ხნის შემდეგ იგი სოხუმს ეწვია „იავა-50“ მარკის მოტოციკლით. მან ეს მოგზაურობა კოსმონავტების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის გმირობას მიუძღვნა.

3. დიომინის მოგზაურობას კიდევ ერთი მიზანიც აქვს — პრაქტიკულად გამოსცადოს მოტოციკლი „იავა-50“.

## კვლავ ახმაურდნენ აუდიტორიები

**გუშინ** რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა განახლდა. შინაარსიანად და მხიარულად გაატარეს არდადეგების დღეები ჩვენი დედაქალაქის სტუდენტებმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტმა „მეგობრობის მატარებლით“ იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. სათხილამურო სპორტის მოყვარულები იყვნენ ბაკურიანში. ბევრმა სტუდენტმა დაისვენა და ენერგია აღიდგინა რესპუბლიკის დასასვენებელ სახლებში.

არდადეგების დღეებში საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა თვითმოქმედი საესტრადო ორკესტრი საგასტროლოდ იმყოფებოდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. ინსტიტუტის სიმფონიური ორკესტრი, ვოკალური და ქორეოგრაფიული ჯგუფები კი კონცერტებს მართავდნენ კიევში. თბილისში დარჩენილი ახალგაზრდობისათვის სტუდენტთა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები აწყობდნენ კოლექტიურ სვლას თეატრებში, მუზეუმებში, გამოფენებზე.

— როგორც ჩეხოსლოვაკიის პრესის ფურცლებიდან შევიტყეთ, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ვ. ქორორაძემ, — მოამე ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა გულთბილად მიიღო ჩვენი ინსტიტუტის თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები. აღსანიშნავია, რომ არდადეგების დღეებში ტურისტული მარშრუტით უნგრეთში იმოგზაურა ინსტიტუტის 35 სტუდენტმა. ესენი ძირითადად უნგრული ჯგუფის სტუდენტები არიან. სათხილამურო სპორტის მოყვარულები კი დასვენების დღეებში მონაწილეობას იღებდნენ ბაკურიანში გამართულ შეჯიბრებებში.

კარგად დასვენეს სტუდენტთა საზაფხურო არდადეგების დღეებში დედაქალაქის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმაც.

**ლ. ლალიაშვილი.**

* * *

**სურათზე:** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები (მარცხნიდან) გ. ცინცაბაძე, ო. გურგენიძე, ა. კაკულია, ჩ. თევზაძე და ო. წეროძე საუბრობენ ინსტიტუტის ეზოში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

## თეატრალური რეცენზია • ცნობები • ფაქტები • სპორტის ამბები

# ეს ეოცდა ციცკარგე

ციცკარი მთაა ბათუმის მახლობლადაც ციკიურს მიბჯენილი ზამთრობით მკერდდათოვლილი, ნისლის ნაბადში გახვეული, ბრძენი მოხუცივით ჩაფიქრებული. ყველაზე ხშირად წვიმს აქ, ყველაზე დიდი თოვლიც აქ მოდის. ამიტომ იყო ალბათ, რომ მუდამ მოღუშულ და პირქუშ მთას ჩვენი წინაპრები „მტირალას“ ეძახდნენ. აქაური ულრანი ტყეები — ნაღირთა საბუდარი, ყაჩაღთა და კონტრაბანდისტთა თავშესაფარი იყო

დიახ, ასე იყო წინათ. ახლა სიცოცხლე დამკვიდრდა „მტირალაზე“ და ხალხმა მთასაც შეუცვალა სახელი, „ციცკარი“ უწოდა.

ჯანმრთელობის ძვირფას კერად იქცა ციცკარი. რამდენი ადამიანი ემალლიერება ამ მთის ლაღ ბუნებას. რამდენს აჩუქა სიცოცხლე და შრომის უნარი დაუბრუნა ზღვისა და მთის შეზავებულმა ჰავამ.

ზაფხულში ყოველნაირად ათასობით ბათომელი ატარებს შვებულებას ციცკრის მიდამოებში. ზამთრობით კი, როცა ციცკარი ნამდვილ ბაკურიანს მოგგაგონებთ, მისი თოვლიანი ფერდობები სპორტის მოყვარულთა და მეთხილამურეთა საყვარელი ადგილია. აქ ბევრი რამ გაკეთდა საზამთრო ფიზკულტურულ-სპორტულ შეჯიბრებათა მოსაწყობად. მეთხილამურეები და მოციგურავეები კვირაადღეობით აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან შორ მანძილზე გადარბენაში, სიმაღლიდან დაშვებაში...

ასე იყო ამას წინათაც. სპორტის მოყვარულები შაბათ საღამოს ავიდნენ მთაზე. ღამე იქ გაათიეს. იყო ცეკვა-თამაში, სიმღერები, შეჯიბრება ჩქაროსნულ და ფიგურულ ციგურაობაში! მზიანი დღე იყო და სპორტის მოყვარულებმა განთიადადანვე გააჩაღეს ფერდობებიდან თხილამურებით სრიალი. გაცოცხლდა მთა.

ჯილდოების გადაცემას ნუღარ მოვუცდით, უთხრა გივი კკაჭაძემ ამხანაგს, რომელიც წინადღიდან თავს ცუდად გრძნობდა. კუჭის წვას უჩიოდა, ჩქარობდა შინ დაბრუნებულიყო. სახლამდე კი კარგა შორი მანძილი ჰქონდათ გასავლელი. ჯერ 13 კილომეტრი ფეხით უნდა გეევლოთ ავტობუსების გასაჩერებლამდე, იქიდან მანქანით კიდევ ერთი იმდენი.

დავითი ვერძაძე დაეთანხმა გივის. და გზა რომ შეემოკლებინათ, თოვლით დაფარულ ნაბილიკარს გამოჰყვნენ. ქვევით ჩანდა სოფლები, სახლებიდან ამოდიოდა კვამლი.

— მოდი ასე გადავჭრათ გზა, — უთხრა დავითმა თავის მეგობარს, აქედან უფრო ახლოა სოფელი ჩაისუბანი, სამანქანო გზა—თქვა და ბევრი არც უფიქრიათ, გვერდი აუარეს სოფლისაკენ მიმავალ გზას და გაჰყვნენ ხეობას, სადაც პატარა მდინარე მიიკლაკნებოდა. რაც უფრო ქვევით მიჰყვებოდნენ ხეს, მდინარეც თანდათანობით დიდდებოდა ახალი შენაკადებით, ხეევიც უფრო ღრმავდებოდა, მზის სხივებისათვის მიუწვდომელი ხდებოდა.

მალე გივი და დავითი 6 მეტრის სიმაღლის ჩანჩქერს წაადგნენ. შეხედვა და მორევში გივის ჩაჯაჭდა ერთი იყო. დავითს აღარ დაუყოვნებია, ისიც გადაეშვა წყალში მეგობრის საშველად და დიდი ვაივაგლახით ამოიყვანა ნაპირზე. სიცივით კანკალებდა დასველებული, დაქექილი გივი.

თანაც საღამო ახლოვდებოდა. უნდა იჩქარონ. ათასნაირი ხიფათი და უბედურება წარმოუდგათ თვალწინ. მართალია, თან ჰქონდათ სანადირო თოფი, მაგრამ როდემდის ეყოფოდათ ვაზნები! გზას განაგრძობდნენ, ვაზნებს ვაზნებზე ცლიდნენ, ისროდნენ, იქნებ თოფის ხმაზე ვინმე გამოგვეხმაუროს და მოგვეძებნოსო. ერთმანეთს ამხნევებდნენ, რაღაცის, ვიღაცის იმედი ჰქონდათ. სველნი იყვნენ და წყალს აღარ ერიდებოდნენ. მდინარე კი ზათქითა და შხეილით ბორგავდა ქვევით. მალე კიდევ ერთ ჩანჩქერს წაადგნენ.

— აი დასწყევლოს, ეს გვინდოდა ახლა ჩვენ?! — სასოწარკვეთილებით წარმოთქვა გივი კკაჭაძემ, როცა 30 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერს გადახედა.

ცის სივრცე წყვდიადმა მოიცვა. ღამის ბინდ-ბუნდში ხევი ხახადაღებული დევივით გადმოსცქეროდათ. დავითს მაშინ მიცემული ასანთი გაახსენდა. ჯიბიდან ამოიღო, მაგრამ დახე უბედურებას, კოლოფიდან წყალი გადმოიღვარა, არც ერთი ღერი არ აინთო!. უკანასკნელი იმედიც ჩაიქარა. ცეცხლს მაინც დაანთებდნენ. ტანსაცმელს გაიშრობდნენ, ნაღირს დაიფრთხობდნენ... მაგრამ სადღაა ასანთი! ნადირი რომ ახლოს არ მოსულიყო, დროგამოშვებით ისროდნენ თოფს.

ჩაქვის რაიონის სოფელ ჩაისუბანს ელვის სისწრაფით მოედო ორი ბათუმელი ახალგაზრდის უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა. სასწრაფოდ შეიქმნა სამძებრო ჯგუფები. ახალგაზრდების ძებნაში სამოცზე მეტმა ჩაისუბნელმა მიიღო მონაწილეობა. ერთ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა მეტყევე მემედ ბრუნჯაძე, რომელმაც ხელისგულივით იცის ამ მთის ყველა ბილიკი. მალე მემედის ჯგუფმა მონახა დაკარგულთა კვალი. იგი ხევს მიჰყვებოდა...

მეორე დღეს გივი კკაჭაძემ და დავითი ვერძაძემ კვლავ დაიწყეს ხევიდან გამოსასვლელის ძებნა, მაგრამ ამაოდ — ვერა და ვერ მოახერხეს ამ წყეული ადგილიდან გამოსვლა... წინ ჩანდა ხახადაღებული ხევი, მდინარე რომ ულოკავდა თოვლიან ნაპირებს...

— წადი, დავით! მე აღარ შემიძლია,— ეეედრებოდა გივი. რატომ უნდა დავიღუპოთ ორივე, იქნებ შენ გახვიდე ჯახზე. შეატყობინო ჩვენებს!..

დავითი სიტყვის თქმასაც არ აცლიდა, გამოსავალს ეძებდა, ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა გაჭირვებაში მყოფი მეგობრის უმწეოდ მიტოვება.

მეორე დღეც იწურებოდა, 30 საათი სრულდებოდა ახალგაზრდების დაკარგვიდან.

— კიდევ ცოტა მოითმინე, გივი... ალბათ გვეძებენ, მოგვაგნებენ, — ამშვიდებდა დავითი.

ამ დროს ზემოდან რამდენიმე კაცის ჩრდილი დაეცა მათ წინ... სიხარულისაგან ერთახლს გოგანებული იყვნენ. შემდეგ— გადავრჩითო, — ერთად აღმოხდა ორივეს.

გზაბანეულებთან პირველნი მივიდნენ ტყისმცველი მემედ ბრუნჯაძე. კოლმეურნე რეჯებ ვადიმანიძე და მუხამედ ბრუნჯაძე. მათ სიხარულით პატაცეს ხელში ორივე ახალგაზრდა და გამოცდილი მეგზურის მ. ბრუნჯაძის წინამძღოლობით მოკლე, მაგრამ ერთობ სახიფათო ბილიკით გამოვიდნენ სამახანძო გზაზე.

კოლმეურნეებმა უსახავი არ დატოვეს მთის არც ერთი უბანი, დიდი გამძლეობა და მამაცობა გამოიჩინეს ორი გზააბნეული ახალგაზრდის გადარჩენაში.

მადლობა თქვენ, კეთილო და მამაცო ადამიანებო!

**რ. გორგაძე.**

ბათუმი.

## ასი პოეტი“ მარიულ ენაზე

ქ. იოშკარ-ოლაში, მარეთის ასს რესპუბლიკის გამომცემლობამ მარიულ ენაზე გამოსცა მსოფლიოს ასი პოეტის თარგმანების კრებული.

წიგნში, რომელსაც ჰქვია „ასი პოეტი“, შესულია აგრეთვე ქართველი პოეტების ა. წერეთელის, გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის ლექსების თარგმანები.

აფაზური პოეზია კრებულში წარმოდგენილია ი. თარბას ლექსებით.

**ი. სტეპანოვა.**

ქ. იოშკარ-ოლა.

## ყოჩაღი მოსწავლე

**თელავი.** (საკ. კორ.). სოფელ ფიჩხოვანის კოლმეურნეობის წევრის ვ. ბაგაურის სახლს ხანძარი გაუჩნდა. იგი რვაწლიანი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ თეკლე ბაგაურმა შენიშნა. მშველელი არავინ იყო და მოსწავლე ხანძარს შებრძოლა. პირველ რიგში ხანძრის გაჩენის კერა — ელექტროგაყვანილობა ცეცლით გაუუნებლა, შემდეგ კი ცეცხლის ჩაქრობა დაიწყო. კოლმეურნის სახლი დაწვას გადარჩა.

მოსწავლე თეკლე ბაგაურმა მთელი სოფლის მადლობა დაიმსახურა.

## საკდესი იუწყება

**ბაკურიანი.** საბჭოთა ჩოგბურთის მთელი მშვენება მიიღებს მონაწილეობას სრულიად საკავშირო ზამთრის ტურნირში, რომელიც გუშინ გაიხსნა ესტონეთის დედაქალაქში. 11 დღეს გაგრძელდება წარმატაცი შეჯიბრება დაბურულ კორტებზე. ჯერ გაიმართება გუნდური ტურნირი მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის სფსრ, უკრაინის, საქართველოსა და ესტონეთის კოლექტივების მონაწილეობით, ხოლო შემდეგ პირადი, სადაც გამოვლენ 24 სპორტსმენი ქალი და 32 სპორტსმენი ვაჟი. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან ჩვენი ქვეყნის 1962 წლის ჩემპიონები მოსკოველი ა. დმიტრიევა და ლენინგრადელი ა. პოტანინი, გასული წლის ზამთრის შეჯიბრებაში გამარჯვებული ესტონელი ტ. ლეოსი.

**ბაკურიანი.** (საკ. კორ.). ბაკურიანში დაიწყო რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში.

მოეწყო შეხვედრები ქალთათვის 10 და ვაჟთათვის 30 კილომეტრის გადარბენაში, აგრეთვე სლალომში. ქალთა შორის სათხილამურო გადარბენაში უძლიერესი იყო კ. კრუგლოვა, ვაჟთა შორის — ე. მორდვინოვი.

საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა სლალომში. როგორც მოსალოდნელი იყო ქალთა შორის გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ლ. გოგოლაძემ. ვაჟთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა გ. აბრაშვილი და პირველობაც მას მიეკუთვნა.

## პირველი ჩემპიონები

**გუშინ** ბაკურიანში დაიწყო რესპუბლიკური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში.

მოეწყო შეხვედრები ქალთათვის 10 და ვაჟთათვის 30 კილომეტრის გადარბენაში, აგრეთვე სლალომში. ქალთა შორის სათხილამურო გადარბენაში უძლიერესი იყო კ. კრუგლოვა, ვაჟთა შორის — ე. მორდვინოვი.

საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა სლალომში. როგორც მოსალოდნელი იყო ქალთა შორის გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ლ. გოგოლაძემ. ვაჟთა ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა გ. აბრაშვილი და პირველობაც მას მიეკუთვნა.

## ეროვნული ბრძოლა

**ბაკურიანი.** (საკ. კორ.). ეროვნული ბრძოლა ბაკურიანში ბოლო ჩერკასელებმა შეძლეს ინიციატივის ჩაგდება და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:4. **ამრიგად, ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის ხელბურთელ ქალთა გუნდი „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი გახდა.** მან 10 შესაძლებლიდან 10 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (8 ქულა), მესამეზე — კიევის სკიფ-ის (6 ქულა).

საერთო ყურადღებას იპყრობს თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდების ორთაბრძოლა. გამარჯვების შემთხვევაში მოსკოველები პირველ ადგილზე გადიოდნენ. თბილისელებს ავადმყოფობის გამო აკლდათ მთავარი სნაიპერი ჯ. ცერცვაძე.

ბრძოლა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ანგარიში ზარდალებულმა გახსნა, ამას მოჰყვა მეორე გოლი. ერთ დროს მოსკოველებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა (3:3). მაგრამ მალე კვლავ თბილისელები ხელბურთელნენ და თამაშიც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 29:9. **ამრიგად თბილისის „ბურევესტნიკი“ მეორეჯერ გახდა ამავე საზოგადოების ჩემპიონი და მასთან ერთად თასიც მოიპოვა.** მეორე ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა, მესამე — მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებმა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცეს ჯილდოები.

**რედაქტორი**

**დ. მჟედლიშვილი.**

## ეროვნული ბრძოლა

**ბაკურიანი.** (საკ. კორ.). ეროვნული ბრძოლა ბაკურიანში ბოლო ჩერკასელებმა შეძლეს ინიციატივის ჩაგდება და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:4. **ამრიგად, ჩერკასის პედაგოგიური ინსტიტუტის ხელბურთელ ქალთა გუნდი „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი გახდა.** მან 10 შესაძლებლიდან 10 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (8 ქულა), მესამეზე — კიევის სკიფ-ის (6 ქულა).

საერთო ყურადღებას იპყრობს თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდების ორთაბრძოლა. გამარჯვების შემთხვევაში მოსკოველები პირველ ადგილზე გადიოდნენ. თბილისელებს ავადმყოფობის გამო აკლდათ მთავარი სნაიპერი ჯ. ცერცვაძე.

ბრძოლა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ანგარიში ზარდალებულმა გახსნა, ამას მოჰყვა მეორე გოლი. ერთ დროს მოსკოველებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა (3:3). მაგრამ მალე კვლავ თბილისელები ხელბურთელნენ და თამაშიც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 29:9. **ამრიგად თბილისის „ბურევესტნიკი“ მეორეჯერ გახდა ამავე საზოგადოების ჩემპიონი და მასთან ერთად თასიც მოიპოვა.** მეორე ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა, მესამე — მინსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებმა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადასცეს ჯილდოები.

**რედაქტორი**

**დ. მჟედლიშვილი.**

## ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი

**მოსკოვი,** 6 თებერვალი. (საკადესი). დღეს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომა, რომელზეც მოიწონეს ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკთა პატრიოტული თაოსნობა, რომლებმაც დაიწყეს ლაშქრობა ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

ამ თაოსნობის ინიციატორებმა გაზეთ „სოვეტსკაია როსიის“ საშუალებით მიმართეს რუსეთის ფედერაციის სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშა კორესპონდენტებს მოწოდებით — მოაწყონ მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების გამოყენების სრულიად რუსეთის დათვალიერება.

სამდივნომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება — მოაწყოს მოსკოვში იმ ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარი, რომლებიც წერენ ათეისტურ